ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე შაბათს. №14 (1802) 10 სექტემბერი 2003




მე-5 გვ.

## ვინ არის ტელეკომპანია ალ-ჯაზირა?

## დოკუმენტი თუ „დოკუმენტი"?!



მე-8 გვ.

## ყურადღება – ვისაც აფხაზეთის პრობლემა გაღელვებთ!

მე-3 გვ.



## სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო




## მიტაცებული უძველესი ქალდეური „სიბრძნის წიგნი" და... უდიდესი ხიფათი საქართველოსთვის!


ДЕЙСТВИТЕЛЬНО ЛИ СИОНИЗМ - ЭТО РАСИЗМ ?

*как утверждает определение Генеральной Ассамблеи ООН от 10 ноября 1975 г.*

Ответу "нет" предпослано философско-антропологическое исследование профессора Н.Натадзе, Члена Парламента Грузии, одного из лидеров грузинского национально-освободительного движения.

მე-2 გვ.

## რაში ტყუვდება და რაში არ ტყუვდება დასავლეთი




მე-4 გვ.

## აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

მე-5 გვ.

www.opentext.org.ge/sakart

საქართველო

# მიტაცებული უძველესი ქალდეური „სიბრძნის წიგნი" და... უდიდესი ხიფათი საქართველოსთვის!

**წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, რედაქციაში ამა წლის მაისის ბოლოს შემოვიდა. მასზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ბატონ ნოდარ ნათაძეს.**

**აღნიშნულ წერილს კომენტართან ერთად ვბეჭდავთ უცვლელად.**

ქალდეურ სიბრძნეზე ვერაფერს მოგახსენებთ, კომპეტენტური არ გახლავართ. რაც შეეხება საქართველოს დღევანდელი ინტერესების მიმართებას ებრაულ ინტერესებთან და ამა თუ იმ ებრაული ძალების საქმიანობასთან, ამაზე შემიძლია ერთი-ორი მწუხარე სიტყვა მოგახსენოთ. უარყოფით მიკერძოებას ვერავინ დამაბრალებს, რადგან დიდი ხნის წინ (1994) გამოცემული მაქვს პატარა ბროშურა რუსულ ენაზე, რომელშიც, — ჩემი დარგობრივი პროფილიდან გამომდინარე, — ვცდილობ ერთხელ და სამუდამოდ პასუხი გავცე იმ პოლიტიკურ ლობის, რომელმაც, გაეროს რეზოლუციის სახით, სცადა სიონიზმისათვის „რასიზმის" ყოვლად უსაფუძვლო კვალიფიკაცია მიეცა.

ფაქტი ასეთი გახლავთ. დღეს იზრაელის სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი არის დასავლეთის ფორპოსტი აღმოსავლეთში. ასე განსაზღვრა ისტორიულ ხდომილებათა მსვლელობამ, რომ ეს სახელმწიფო უშუალო კონტაქტშია განსხვავებული რელიგიისა და მენტალიტეტის მქონე ძალიან ვრცელ მუსლიმანურ რეგიონთან, თვითონ კი, თავისი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მენტალიტეტითაც და კულტურული ფონითაც, დასავლურ სამყაროს ეკუთვნის. ამ მდგომარეობით არის განსაზღვრული (რა თქმა უნდა, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად) ის უდიდესი ყოველმხრივი თანადგომა, რომელიც ამ სახელმწიფოს დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა მხრიდან აქვს. ანალოგიურია ის მდგომარეობა, რომელიც საქართველოს ისტორიულად აქვს, და ის მდგომარეობა, რომელსაც საქართველო დღევანდელ მსოფლიოში ეძებს. მაშასადამე, არსებობს ობიექტური პირობები იმისათვის, რომ იზრაელის სახელმწიფოს ბედზე ინტენსიურად მოაზროვნე პოლიტიკოსმა საქართველო ამ მხრივ იზრაელის პოტენციურ კონკურენტად მიიჩნიოს და არ უნდოდეს, რომ საქართველო ფეხზე დადგეს, გამართული და ყოველმხრივ დაცული სახელმწიფო გახდეს. არიან დღეს ასეთნაირი განწყობის პოლიტიკოსები? არ ვიცი. მაგრამ ვალდებულნი ვართ, ასეთთა არსებობის შესაძლებლობას და მათი გაჩენის ზემოხსენებულ ლოგიკას ვითვალისწინებდეთ ჩვენს პრაქტიკულ პოლიტიკაში.

ჭორები და ეჭვები კი ასეთი გახლავთ. არისო (ხაზს ვუსვამ „ო"-ს) გარკვეული პუბლიკაციები, სადაც გატარებულია შემდეგი იდეა: თუ არაბთა დიდი წინააღმდეგობის გამო იზრაელის სახელმწიფოს გადარჩენა იქ, სადაც არის, ეჭვის ქვეშ დადგება, ხომ არაა მიზანშეწონილი, რომ თვითდამკვიდრების ახალ (ან: ალტერნატიულ) ადგილად ებრაელმა ხალხმა საქართველოს ტერიტორია გამოიყენოს — გაოხრებული, გაჩანაგებული, მოსახლეობისაგან დაცლილი, მორალურად გატეხილი და ყოველნაირად „არშემდგარი"? მე პირადად ეს არ მჯერა, თუმცა არ მაქვს ხელთ არანაირი მეცნიერული არგუმენტაცია (პირწმინდად ჰუმანიტარულის გარდა), რომ ეს შესაძლებლობა კატეგორიულად უკუვაგდო. ვალდებული ვარ ვითვალისწინებდე ამ შესაძლებლობასაც, მით უმეტეს, რომ, ჯერ ერთი, დღევანდელ ადგილას იზრაელის სახელმწიფოს შექმნა მიწების ყიდვით დაიწყო, (ანუ ისეთი პროცესით, რომლის ამუშავებას საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი და არაერთი პარლამენტარი დღეს საქართველოში აქტიურად ლობირებს), მეორეც, სიონიზმის მოძრაობას მის დამფუძნებელთა პირველი ნაბიჯების ეპოქაში მიზნად ჰქონდა (რამდენადაც ვიცი) ებრაული სახელმწიფოს დაარსება სადმე, ხოლო ამ გეგმის ყველაზე ოპტიმისტური და სამართლიანი ვარიანტი — დღეს განხორციელებული — მხოლოდ ამ მოძრაობის წარმატებებმა გახადა შესაძლებელი.

მე პირადად საქართველოსა და იზრაელის, აგრეთვე საქართველოსა და მსოფლიო ებრაელობის მომავალი ურთიერთობა წარმომიდგება თანამშრომლობის სახით. მაგრამ ვის აქვს უფლება, რომ თავის რაგინდარა სხივოსან სამომავლო ხედვებს, სიფრთხილის კარნახით, დიამეტრულად განსხვავებული პროგნოზებიც არ დაუყენოს გვერდზე?

რაც შეეხება შევარდნაძის წარმომავლობის თემას, ამ საკითხზე, ცხადია, აბსოლუტურად არაკომპეტენტური ვარ. მაგრამ ერთი გარემოება კი უნდა აღვნიშნო. ჩემთვის ცნობილია (ვიმეორებ: ცალსახად ცნობილია), რომ ერთ-ერთ ყველაზე ბინძური და მკრეხელური ქმედების უკან, რომელიც დღეს საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება, პირადად ეს ადამიანი დგას. მხედველობაში მაქვს იზრაელის მოქალაქის, ვინმე მოსიაშვილის (იგივე: მოშიაშვილის) მიერ კრწანისის ომში დაცემულ ქართველ მებრძოლთა საფლავის ტერიტორიის ყიდვა (რა თქმა უნდა, მყვირალა კანონდარღვევებით), საფლავის შებილწვა, 5000 კუბ. მ მიწის გადაყრა (ძვლებითურთ) და შემდგომი სასამართლო „მიწოლა" ამ ადგილის შენარჩუნებისა და შემდგომი შებილწვისათვის. იგი თავისას ვერ მიაღწევს. (პირიქით: დაისჯება), რადგან ასეთია ქართველი საზოგადოებრიობის ნება, მაგრამ თავხედური „მიწოლა" ჯერჯერობით გრძელდება. სხვა „ქართველები" ამ ბინძური ფანატიკოსისა და ბოღმიანი მანიაკის უკან არიან: ვინმე როსტომაშვილი (დღეს — თბილისის მთავარი არქიტექტორი), ცნობილი ყოფილი მოჭიდავე სალარაძე (თბილისის საკრებულოდან) და ვაჟა შუბლაძე (ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი), აგრეთვე გაყიდულ „ჟურნალისტთა" ერთი არაკომპეტენტური ჯგუფიც. შევარდნაძის დიდი მფარველობა პატარკაციშვილისადმი (მარტივი სქემით: პატარკაციშვილი რუსეთში ძებნილია. დღეს იგი ნახევარ საქართველოს „ყიდულობს". მას რუსული სამართალდამცავი ორგანოები დაიჭერენ, გაასამართლებენ და მისგან „კონფისცირებულ" ქონებაში ის ნახევარი საქართველოც მოყვება) აგრეთვე დამაფიქრებელი უნდა იყოს.

ღმერთმა ქნას, რომ საქართველოსა და იზრაელის ურთიერთობათა ის მომავალი, რომელსაც მე ჩემს წარმოსახვაში ვხედავ ოპტიმისტური განწყობილების მომენტებში, რეალობად იქცეს. მაგრამ სიფხიზლე მუდამ ჩვენი ვალია.

ერთსაც შევნიშნავ (რათა გაუგებრობა არ შეიქმნას). მოსიაშვილის „საქმეში", რამდენადაც მე მას ვიცნობ, არანაირად არ მონაწილეობს იზრაელის საელჩო. არ მონაწილეობს არც ვინმე ინტელიგენტი ებრაელი, რაც ამ თემაზე მოსიაშვილის მხრიდან შემდგარი ტექსტებიდან ჩანს.

დავძენ. ყოველივეზე, რასაც მოგახსენებთ, სრული პასუხისმგებელი ვარ.

პატივისცემით ნ. ნათაძე

უეჭველია, რომ საქართველოში 1991 წლის ბოლოდან დღემდე დატრიალებული ტრაგედია ადრე თუ გვიან აუცილებლად შეფასდება, როგორც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაული. ეს ბოროტება გამოწვეულია არა მხოლოდ დღეს უკვე აშკარა, არამედ ჯერ კიდევ ფარული მიზეზებითაც. ერთი ამ უკანასკნელთაგანი (მის მიგნებას, ახსნას, თუ გნებავთ, შემიძლია „ჩემი ჰიპოთეზა" ვუწოდო) დიდი ხანია მაწუხებს. იგი სიღრმისეულია და, ჩემი

**ДЕЙСТВИТЕЛЬНО ЛИ СИОНИЗМ - ЭТО РАСИЗМ ?**

*как утверждает определение Генеральной Ассамблеи ООН от 10 ноября 1975 г.*

Ответу "нет" предпослано философско-антропологическое исследование профессора Н.Натадзе, Члена Парламента Грузии, одного из лидеров грузинского национально-освободительного движения.

აზრით, ფატალურად სახიფათო. მხედველობაში მაქვს ე.წ. მსოფლიო სიონისტურ-მასონური ძალა, რომელიც უკვე დიდი ხანია სამკვდრო-სასიცოცხლოდ, მაგრამ იდუმალად ერჩის საქართველოს. იკითხავთ: „რატომ ასეთი ხმამაღალი განცხადება? წარმოადგინეთ არგუმენტირებული საბუთიო!" ინებეთ, ბატონებო!

საქართველო თავისი ჯერაც „სახიფათოდ" მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალით დღეს, ალბათ, ერთადერთი ცოცხალი კულტურული მემკვიდრეა (თუ გნებავთ — ცოცხალი ჭირისუფალია) უძველესი შუმერულ-ქალდეური კულტურა-ცივილიზაციისა, რომლისგანაც, როგორც მრავალნი ფიქრობენ, ებრაელებმა ჯერ კიდევ უხსოვარ დროში „დაირჩინეს" და მიისაკუთრეს უდიდესი „ბიბლიური სიბრძნე" და დაიფიქსირეს (ყოველ შემთხვევაში, შემდგომ საუკუნეებში მაინც) დღეს უფართოესად ცნობილი და აღიარებული თავისი ერთპიროვნული ავტორობა-მემკვიდრეობა მასზე. არადა ეს „ერთპიროვნული მემკვიდრეობა" კარგა ხანია სადავოდ არის გამხდარი (მოსალოდნელია, რომ ამ თემაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაცხოველდება შუამდინარეთში არქეოლოგთა სამუშაოდ დღეს ახლებური პირობების შექმნის და სავსებით შესაძლო უცნობი უძველესი წერილობითი წყაროების მოპოვების შედეგად). ჩემი ეჭვიც, რომელიც ვახსენე, იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ამ ვითარებას შეეწირა დღეს წმინდანად შერაცხილი კირიონ კათოლიკოსი (იგი, ოფიციალური ვერსიით, მხოლოდ ბოლშევიზმის და რუსული ეკლესიის მესვეურებმა იმსხვერპლეს. იხ. ამ რიგის თემებისადმი კირიონ კათალიკოსის ინტერესის საილუსტრაციოდ მისი ქადაგებები, ეპისტოლეები, ფილოსოფიური და თეოლოგიური წერილები).

შედარებით ახლო წარსულში არსებობდა რუსული იმპერიის, თანაც — ორთოდოქსული ათეიზმის იმპერიის, ფეხქვეშ სულთმობრძავი უძველესი, დიდი ქართული კულტურისა და ქართველი ერის ჩარევის გარეშე, უკვალოდ გაქრობა-ასიმილირების რეალური პერსპექტივა და, ამგვარად, ქართველობის წინააღმდეგ შეტევასაც ფაქტობრივად აქტუალობა აკლდა. გარდა ამისა, მყარად ჩაკეტილ იმპერიაში მათთვის ჩვენი ერი ნაკლებ მისაწვდომიც იყო.

შემდგომ (1918-21 წ.წ.) და დღეს, როგორც კი დამოუკიდებელ საქართველოს ფართო სამომავლო პერსპექტივა შეექმნა, ვისაც, ამა თუ იმ მიზეზით, აფრთხობს კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ქართველობისთვის კუთვნილი ადგილის აღდგენა-დამკვიდრება, ერის აღორძინების რეალობა, იგი იძულებულია მიმართოს თავისი ანტიქართული ნაბიჯების უკიდურესად რადიკალურ და გადამჭრელ ფორმებს.

აქვე მინდა აღვნიშნო სრული პასუხისმგებლობით: მე ვამაყობ და, ალბათ, თავად ებრაელთა უმრავლესობაც ქართველებივით ამაყობს იმ მართლაც უნიკალურად კარგი ურთიერთობებით, რაც საქართველოში (მთელ დედამიწაზე გამორჩეულად) არსებობდა ქართველ ხალხსა თუ სახელმწიფოს და საქართველოში მოსახლე ებრაელებს შორის.

ალბათ, ყველაზე ბოროტი ძალა, პიროვნულად აღმსრულებელი ამ ვერაგი ანტიქართული მისიისა (რაც ქართველი ერის გენოციდ-განადურებას გულისხმობს) არის, — ჩემის აზრით, ერთობ სარწმუნო მტკიცებულებებით — ებრაული წარმომავლობის ედუარდ შევარდნაძე, დედით ბოლნისელი გერმანელი ებრაელი, (ეს ქალბატონი, გადმოცემით, გურიაში პატეიშვილების ოჯახში ცხოვრობდა ერთხანს), მამით კი ბერძენი(?) ებრაელი. აი, ვის მიაგნეს სიონისტებმა თავის დროზე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში, ვინ აღაზევეს მ. გორბაჩოვის გვერდით და ვის იყენებენ დღეს უკვე კონკრეტულად ჩვენს წინააღმდეგაც! ის, რომ „შევარდნაძე" მეორეული, საერთოდ „ბოძებული" გვარია, ერთ-ერთ ინტერვიუში ნათქვამი აქვს თვით შევარდნაძის მეუღლეს. როდის მიიღო ბერძენი(?) ებრაელის წინაპარმა ეს გვარი — ვერ კონკრეტდება... (იხ. გ. ცქიტიშვილი „საქართველოს შავი დღეების ქრონიკები" 1999 წ.; ა. კარაულოვი, მოსკოვი „ჟურნალისტის ჩანაწერები, ინტერვიუები"; პ. პერესვეტი, მოსკოვი 1993 წ. „ხელისუფლება და პიროვნება" და სხვ.).

ჩემთვის ძალიან დამაფიქრებელია საქართველოში დღემდე წარმოუდგენელი ფაქტი: თბილისის ებრაულ სათვისტომოში ადგილობრივ ებრაელთა თითქმის ერთსულოვანი ნების საწინააღმდეგოდ დაინიშნა ახალი რაბინი (არიელი), ქართულ ენაზე მეტყველებისაც კი აღმკვეთი, რომლის უკიდურესად ანტიქართულ განწყობილება-ქცევას მსხვერპლიც კი მოჰყვა — შინაგანი წინააღმდეგობის ნიადაგზე ახალგაზრდის თვითმკვლელობის სახით (მ. ბინიაშვილის ვაჟი). ეს „მიფუჩეჩებული" ფაქტებია, მათზე არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ მედიაც დუმს. ასეთი ვითარება ძალიან უცნაურად გამოიყურება ებრაელებთან თითქმის სამიათასწლოვანი ურთიერთობის ისტორიის ფონზე, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ აღმდგარ მრავალ მოღალატეს იცნობს, თვით რიგი ნაძირალა ქართველების ჩათვლით, მაგრამ საქართველოს მაცხოვრებელი ებრაელის მიერ ჩადენილ ღალატს არასოდეს ჰქონია ადგილი! ეს ურთიერთთანადგომა ჭეშმარიტად წმინდა და ორმხრივი იყო. ასე რომ, მსგავსი გაუცხოების ბოროტი თესლის ასეთ დონეზე გაღვივების მცდელობა და თავად ფაქტი საქართველოში ებრაელ რაბინთა ასეთი მოულოდნელი მეტამორფოზისა (თუნდაც ერთეულისაც), ძალზე „შორიდან და ძალზე მაღლიდან" ორგანიზებულს და მართვადს ჰგავს! გავიხსენოთ სახაროვის (ეროვნებით ებრაელის) მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით მოულოდნელი ცილისმწამებლური განცხადება, საქართველო „პატარა იმპერია" არისო! ეს მიზანმიმართული ცილისწამებაც იმავე „შორსა და მაღალ ხელზე" ხომ არ მიგვითითებს? ან რატომ არავინ სვამს კითხვას, რატომ, რა მანქანებითაა განპირობებული ის უცნაური გარემოება, რომ საქართველოში დღეს არც ერთი არაბული ქვეყნის საელჩო არაა, მათ შორის არც დასავლეთთან საუკეთესო ურთიერთობის მქონე ქვეყნებისა, როგორიც არიან, თუნდაც, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და სხვა?

ბევრს ახსოვს თავის დროზე (შევარდნაძის ცეკას მდივნად აღზევებისთანავე) გახმაურებული „ლაზიშვილის ბიზნესის" სასამართლო საქმე. მასში არაერთი ეროვნებით ებრაელიც გაიოდა, მაგრამ (მადლობა ღმერთს!) ყველანი გადარჩნენ, ხოლო ლაზიშვილის ჯგუფის ბოლშევიკური „განადგურების" შემდეგ მისი სამოქმედო სივრცე (და არა მხოლოდ ეს და გაცილებით ფართო მასშტაბებით) თითქმის მყისიერად ებრა-

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყურადღება — ვისაც აფხაზეთის პრობლემა გაღელვებთ!




ეს თემა საქართველოში აქტუალური გახდა და გახმაურდა მაშინ, როცა პარლამენტმა ჯერ „მიაფუჩეჩა", ხოლო შემდეგ განიხილა ამ სასამართლოს ფუძემდებელ დოკუმენტთან — ე. წ. რომის კონვენციასთან — ჩვენი ქვეყნის მიერთების საკითხი და დადებითი გადაწყვეტილებაც მიიღო. მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ ამ აქტის შედეგად (რომელსაც კიდევ ორიოდე მომცრო იურიდიული ნაბიჯი სჭირდება), ჩნდება საშუალება, რომ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი უდიდესი დანაშაული — აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა — სრულმასშტაბიანი პროცესუალური გამოძიებისა და სასამართლო განხილვის საგანი

# სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

გახდეს და მის ჩამდენთ სათანადო სასჯელი განესაზღვროთ. ვაქვეყნებთ THE ECONOMIST-ის წერილს ამ თემაზე, რომელიც საქართველოში ამ თემის გახმაურებამდე დიდი ხნით ადრეა დასტამბული და რომელშიც მკითხველი ჩვენი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობ არაერთ ფაქტს და მოსაზრებას იპოვის.

„აშშ და სხვა სახელმწიფოები, რომელთაც სათავეში საფრანგეთი უდგა, რამდენიმე კვირის მანძილზე ფეხმოუცვლელად იყვნენ ერთმანეთს დაპირისპირებულნი გაეროს უშიშროების საბჭოში. ეს ხდებოდა შარშან ზაფხულში და კამათის საგანი იყო არა ერაყის ომის დაწყება-არდაწყება, არამედ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო (INTERNATIONAL CRIMINAL CONIT - JCC): ჰაერში ვეტოს საშიშროება ტრიალებდა. კონფლიქტი უფრო კარგად დამთავრდა, ვიდრე პირი უჩანს დღევანდელ კამათს ერაყის გამო (ეს მასალა ეკუთვნის 2003 წლის 15 მარტს. რედ.). ერთხმად მიღებულ იქნა კომპრომისული რეზოლუცია და ყველა მონაწილე კმაყოფილი წავიდა შინ.

„მიუხედავად ამერიკელთა გააფთრებული წინააღმდეგობისა, სასამართლო დაფუძნდა ჰააგაში ამ კვირას, სადაც მისი მომავალი ადგილსამყოფელი იქნება. დიდი ცერემონიით შედგა პირველი 18 მოსამართლის ფიცის მიღება. დანარჩენი თანამშრომლები ჯერ კიდევ ასაყვანნი არიან და სასამართლო, ალბათ, ვერ მიიღებს განსახილველად თავის პირველ საქმეს მომავალ წლამდე. ევროკავშირის ქვეყნებისა და მსოფლიოს ათეულობით სხვა ქვეყნების მიერ ზურგმიცემული, იგი დაარსებულია იმისთვის, რომ განიხილოს გენოციდისა და სამოქალაქოთა მიმართ ჩადენილი ყველაზე უარესი სამხედრო დანაშაულების საქმეები, რაც კი მსოფლიოში ხდება, იმ შემთხვევაში, როცა მათ ვერ იხილავენ ან არ იხილავენ ეროვნული სასამართლოები.

„გაეროს საერთაშორისო კრიმინალური ტრიბუნალისაგან განსხვავებით, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის საქმეებს იხილავს და რომელშიც ამჟამად სამართლდება მილოშევიჩი, ახალი სასამართლო ჩაფიქრებულია როგორც მუდმივი. ჰააგის საერთაშორისო სასამართლოსაგან განსხვავებით, იგი განკუთვნილია ინდივიდთა მიერ ჩადენილი დანაშაულების განსახილველად და არა სახელმწიფოთა შორის დავების გასარჩევად. ასე, მაგალითად, რითაც არ უნდა დამთავრდეს დღეს გაეროს უშიშროების საბჭოში მიმდინარე დისკუსია, ახალი სასამართლო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ერაყში შეჭრის კანონიერება-უკანონობის შესახებ.

„შეუძლია თუ არა ამ სასამართლომ წარმატებას მიაღწიოს, როცა მას ესოდენ მტრულად ეკიდება მსოფლიო სუპერძალა? შარშანდელი ივლისის კომპრომისს, რომლითაც დამთავრდა განხილვა გაეროს უშიშროების საბჭოში და რომლის თანახმადაც გაეროს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ამერიკელებს შეუვალობა მიეცათ ახალი სასამართლოს იურისდიქციის მიმართ, ვადა გაუდის ამ წლის ივლისში. შესაძლებელია ახალი შეჯახება უშიშროების საბჭოში. თუ ამერიკელებს უარი ეთქვათ არსებული გადაწყვეტილების განახლებაზე, შესაძლოა ამან გამოიწვიოს მათი მუქარა, რომ ვეტოს დაადებენ გაეროს ყველა სამშვიდობო მანდატებს.

„ამერიკამ იმიტომ გააჩაღა კამპანია ახალი სასამათლოს წინააღმდეგ, რომ იგი შიშობს, ამით შესაძლებელი არ გახდეს ამერიკელი ოფიციალური სამთავრობო პირების (მთავრობის მოხელეების) სამართლებრივი დევნა. ახალი სასამართლოს მომხრეები, პირიქით, აცხადებენ, რომ 1998 წლის ხელშეკრულებაში, რომელიც ამ ახალ სასამართლოს აფუძნებს, საკმარისადაა კონტროლისა და დაბალანსების მექანიზმები, რათა ამ სასამართლოს მხრიდან პასუხისმგებლობით გამსჭვალული მოქმედება განაპირობოს. კლინტონის ადმინისტრაციის დროს ამერიკის მთავრობას აწუხებდა, ხომ არ იქნება, პოტენციაში, შესაძლებელი, რომ შეიზღუდოს ამერიკელთა მოქმედების თავისუფლება საზღვარგარეთ. ამიტომ მისმა ადმინისტრაციამ ისე ქნა, რომ ცენტრალური როლი მოიპოვა სასამართლოს შესახებ დასადები ხელშეკრულებისთვის მისთვის სასურველი სახის მიცემაში. საპრეზიდენტო ვადა რომ უთავდებოდა, კლინტონმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რათა ამერიკა ამ საქმეში ჩართული ყოფილიყო. მაგრამ შემდეგ ბუშმა გამოიწვია (გააუქმა) ამერიკის ხელმოწერა მასზე, შემდეგ კი ენერგიულად ეცადა, რომ ამ სასამართლოსგან სრული სამართლებრივი შეუვალობა მოეპოვებინა ამერიკელებისათვის.

„აშშ მარტო არ იყო ამ დაპირისპირებაში. მსოფლიოს ყველაზე მკაცრი დიქტატურები მას, რა თქმა უნდა, არ მიემხრნენ. მაგრამ ორმა დემოკრატიამაც — ისრაელმა და ინდოეთმა — გაიზიარეს ამერიკელთა კრიტიკული დამოკიდებულება ამ დოკუმენტისადმი. ჩინეთმა და იაპონიამ ამ ხელშეკრულების სასარგებლოდ ილაპარაკეს, მაგრამ ხელი არ მოუწერიათ. რუსეთმა ხელი მოაწერა, მაგრამ რატიფიკაცია არ გაუკეთებია.

„და მაინც, ამერიკელთა კამპანიამ ნარევი შედეგები გამოიღო. მან ვერ შეანელა რატიფიკაციების ტემპი. შარშანდელი კამათის შემდეგ, რომელიც უშიშროების საბჭოში იყო გამართული, ხელშეკრულების რატიფიკაცია კიდევ 13-მა ქვეყანამ მოახდინა, რითაც ახალი სასამართლოს იურისდიქციის მცნობი ქვეყნების რიცხვი 89-მდე გაზარდა. ამ ქვეყნებს შორის ბევრნი ამერიკის ახლო მეგობრები არიან, ზოგნი — კლიენტებიც კი, როგორიცაა ბოლივია, კოლუმბია და სამხრეთ კორეა. გასულ თვეში მას ხელი მოაწერა ავღანეთმაც კი.

„აშშ-მ 24 ქვეყანა დაითანხმა იმაზე, რომ ისინი მოთხოვნის შემთხვევაში უარს ეტყვიან ახალ სასამართლოს იმ ამერიკელთა გადაცემაზე, რომლებიც მათ ტერიტორიაზე იმყოფებიან, და იგივე შესთავაზა თავის მხრით ამ ქვეყნებს. იგი მრავალ ქვეყანას უბიძგებს ამავე



შეთანხმების ხელმოწერისკენ და იმედოვნებს, რომ ამგვარ ორმხრივ შეთანხმებათა ბადე, რომლებიც, მისი აზრით, სანქციონირებულია ხელშეკრულების 98-ე პუნქტით, ამერიკელებს მისცემს გლობალურ შეუვალობას ამ იურისდიქციის წინაშე. ევროკავშირმა სცადა, აეკრძალა ასეთი ორმხრივი შეთანხმებები თავის წევრებსა და ამერიკელებს, აგრეთვე ევროკავშირში შესვლის მსურველებსა და ამერიკელებს შორის, მაგრამ ამერიკელთა მძლავრი ზეწოლის ქვეშ ეს ფრონდა დაინგრა.

„მაგრამ არც ეს ამერიკული კამპანია წარმართულა უმტკივნეულოდ. ასეთ ორმხრივ ხელშეკრულებებზე ხელის მომწერი არაერთი სახელმწიფო დღემდე არ შეუერთდა იმ სასამართლოს და, ამგვარად, მას ვერ მოსთხოვენ ამ უკანასკნელისათვის ეჭვმიტანილ პირთა გადაცემას. ევროკავშირის არც ერთ წევრს არ მოუწერია ხელი ასეთ თანხმობაზე. ერთადერთია გაწევრიანების მომლოდინე რუმინეთი და იმასაც, ჯერჯერობით, პარლამენტისთვის შესაბამისი წინადადება არ წარუდგენია.

„შემდეგი დიდი ნაბიჯი საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს შემქმნელი ქვეყნების მხრიდან უნდა იყოს პროკურორის შერჩევა — ეს, ალბათ, ყველაზე დელიკატური იქნება მათ გადაწყვეტილებათა შორის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ. სასამართლოს განსახილველი საქმეები, — თვით განსაზღვრებითვე, — იქნება რთული და პოლიტიკურად ფაქიზი. როცა დაინიშნებიან სასამართლოს ყველა საკვანძო ფუნქციათა შემსრულებელი პირები და როცა უკვე დაქირავებულნი იქნებიან გამომძიებელთა, ადმინისტრატორთა და იურისტთა გუნდები, მაშინ მოსალოდნელია, რომ ყოველი გადაწყვეტილება სამართლებრივი დევნის დაწყების თუ არდაწყების შესახებ იქნება სადავო-საჭოჭმანო. სასამართლოს უკვე მიღებული აქვს 200-იოდე წინადადება ამა თუ იმ პირთა მიმართ სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. უპირველესი კანდიდატები, როგორც ფიქრობენ, არიან კონგოელი და სპილოსძვლისნაპირელი მეამბოხეების მეთაურები. ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციამ, რომელიც იურისტთა ჯგუფების ქოლგა-ორგანიზაციაა, მოითხოვა ზიმბაბვეს პრეზიდენტის რობერტ მუგაბეს სამართლებრივი დევნის დაწყება.

„მოხელეთა ის პატარა გუნდი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს სასამართლოს მუშაობის დაწყების საორგანიზაციოდ, მოწადინებულია, რომ გამოიყენოს იუგოსლავიასა და რუანდაში ტრიბუნალებში მუშაობისას მიღებული გაკვეთილები, რომლებიც მოიცავენ მკაცრ კრიტიკას პროცესის სიგრძისა და სიძვირის გამო. ისინი იმედოვნებენ, რომ ახალ სასამართლოში პროცედურა უფრო ეფექტიანი იქნება და კონცენტრირებული იქნება მსოფლიოში უდიდეს სისასტიკეთა ჩამდენებზე, და არა წვრილფეხობაზე.

„ყოველივე ეს ძალიან ამბიციური მიზნები გახლავთ. მაგრამ ახალი სასამართლო ბევრს ვერაფერს გახდება, თუ არ ექნება ეროვნულ მთავრობათა მხარდაჭერა, რომელთაგანაც სასამართლოს დასჭირდება ჩვენებების მიწოდების უზრუნველყოფა, გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება და, რაც ყველაზე უფრო კრიტიკული პუნქტია, ეჭვმიტანილთა მიყვანა სასამართლო დარბაზში. მრავალ ქვეყანას ნათქვამი აქვს, რომ მოწადინებულია ყოველივე ამის გაკეთებას. მაგრამ ეს განცხადებები გაკეთებულია მაშინ, როცა სასამართლო მხოლოდ იდეა იყო და როცა მის თვალსაწიერში არ იმყოფებოდა უზენაესი პოლიტიკური თუ სამხედრო ლიდერი. მაგრამ ახლოვდება დღე, როცა ახალი სასამართლოს მხარის მიმცემთ დასჭირდებათ იმის ნათელყოფა, რომ მათი მხარდაჭერა რეალურია."

**რედაქციისაგან.** ახალი სასამართლოს ფუძემდებელ დოკუმენტში — „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის დებულებაში", — ვკითხულობთ:

„მუხლი 98. თანამშრომლობა იმუნიტეტზე ხელის აღების და გადაცემაზე თანხმობის თაობაზე.

1. სასამართლოს არ შეუძლია ისეთი მიმართვა გადაცემის (პირის „წარდგენის". რედ.) ან დახმარების თაობაზე, რომელიც იმ სახელმწიფოსგან, რომელსაც იგი მიჰმართავს, მოითხოვს ქმედებას, არათავსებადს მის საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებთან მესამე სახელმწიფოს რომელიმე პირის ან ქონების სახელმწიფოებრივი ან დიპლომატიური იმუნიტეტის თაობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იმ მესამე სახელმწიფოსაგან მანამდე მი ილო თანხმობა თანამშრომლობაზე ამ იმუნიტეტზე ხელის აღების საქმეში.

3. სასამართლოს არ შეუძლია ისეთი მიმართვა გადაცემის (პირის „წარდგენის". რედ.) თაობაზე, რომელიც იმ სახელმწიფოსაგან, რომელსაც მიჰმართავს, მოითხოვდა ქმედებას, არათავსებადს მის ვალდებულებებთან მისი საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით, რომელთა ძალითაც გადამცემი („გამგზავნი". რედ.) სახელმწიფოს თანხმობა აუცილებელია ამ სახელმწიფოს პირის გადასაცემად („წარსადგენად". რედ.) სასამართლოსათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მანამდე იმ გადამცემი („გამგზავნი". რედ.) სახელმწიფოსაგან მიიღო თანამშრომლობა გადაცემაზე („წარდგენაზე". რედ.) თანხმობის თაობაზე".

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის დ. გამყრელიძის გამოსვლაში პარლამენტის წინაშე, რომელშიც მან მოუწოდა პარლამენტს არ მიეღო რომის კონვენციასთან, ანუ „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს" თაობაზე საერთაშორისო შეთანხმებასთან საქართველოს შეერთების აქტი, მან წამოაყენა არგუმენტი, რომ ამით საქართველო დაკარგავდა აფხაზეთში ძალის გამოყენების უფლებას (რაც არ შეესაბამებოდა რეალობას), მაგრამ არ ახსენა ამ დოკუმენტის თაობაზე არსებული წინააღმდეგობები სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის.

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა




# რაში ტყუვდება და რაში არ ტყუვდება დასავლეთი

**იყო დრო, როცა დასავლეთი საბჭოთა სივრცის ძალიან დიდ ტყუილებს იჯერებდა, რადგან არ იცნობდა ან კარგად არ იცნობდა ჯერ იმ ტყუილთა შექმნის ტექნოლოგიებს. შემდეგ დადგა დრო, როცა ნაკლებად ტყუვდებოდა, მაგრამ ხშირად „ზრდილობის" გამო თავს ისე აჩვენებდა რუსულ მხარეს, თითქოს სჯერა. დღეს ნდობის თუ „ნდობის" ეს ლიმიტი ბევრად ნაკლებია. საკმარისია ითქვას, რომ ვერსია, თითქოს მოსკოვსა თუ ვოლგოდონსში მომხდარი სისხლიანი ტერაქტები ჩეჩნების ნახელავია და არა „ფეესბესი", დასავლეთის პრესის მიერ მიღებული არაა, იგი, უფრო, აგნოსტიკურ პოზიციას — „ვერც ერთი მტკიცდება, ვერც მეორეო", — არჩევს. დღეს დასავლეთს ძალიან აინტერესებს, როგორ წავა საპარლამენტო არჩევნები საქართველოში. მოტყუვდება იგი საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგში ამ თემაზე? ალბათ, არა. საილუსტრაციოდ მოგვყავს THE ECONOMIST-ის მასალა ჩეჩნეთში ა. წ. მარტში ჩატარებული „რეფერენდუმის" შესახებ. სათაურია „მკვდარი სულების ხმის მიცემა".**

ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ხმა მისცა 470 ათასმა კაცმა, რაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 88-ს შეადგენს. ხმის მიმცემნი „10-15 წუთის მანძილზე რიგებში იდგნენო". მაგრამ ნამდვილად რუსების მიერ ყველაზე მჭიდროდ კონტროლირებულ კვარტლებშიც კი ქუჩაში თითოოროლა ადამიანი თუ ჩანდა, მით უფრო — საარჩევნო უბნებზე. ასე რომ, იმ მაღალ ციფრს ვერ ვენდობით სხვაგვარად, თუ არ იმის დაშვებით, რომ ხმის მიცემაში მონაწილეობა მიუღიათ მკვდრებსაც.

1994 წლიდან ჩეჩნეთში ათიათასობით ადამიანი დაიღუპა და ბევრად უფრო მეტი წავიდა. 2002 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა აღწერამ 1 100 ათასი სული უჩვენა, სინამდვილეში დანის ლტოლვილთა საბჭომ (რომელსაც ჩეჩნეთში ყველაზე მჭიდრო კონტაქტები აქვს დასავლელთაგან) 785 ათასს ანგარიშობს. ხმის მიცემა, რომელიც მხოლოდ ერთი პარტიის — სამთავრობო პარტიის მიერ კონტროლდებოდა (და რომელზეც აუარებელი დარღვევები დაფიქსირდა მცირერიცხოვან დასავლელ დამკვირვებელთა მიერ), „იყო ვარჯიში არა დემოკრატიაში, არამედ პოლიტიკურ კონტროლში".

1999 წლის მეორე ჩეჩნური ომის დაწყების აქეთ კონტროლის ხარისხი განსხვავებულია: ჩრდილოეთს რუსები და მათ მიერ დაყენებული კადიროვი აკონტროლებენ, სამხრეთს ანუ მთიან ნაწილს — აჯანყებულები. პრეზიდენტმა მასხადოვმა პოპულარობის დიდი ნაწილი დაკარგა იმის გამო, რომ ახალგაზრდა მეომართა დიდი ნაწილი ისლამური ფუნდამენტალიზმით გამსჭვალულ უფრო რადიკალურ მეთაურებს მიჰყვება. ამ ბოლო თვეებში რუსებმა კადიროვისა და რუსი მოხელეების კომბინირებულ ხელისუფლებაში გადაადგილებები მოახდინეს, რასაც ჩახედული პირები იმით ხსნიან, რომ რუსებმა თვით კადიროვისთვისაც კი „ფრთების შეჭრა" გადაწყვიტეს.

რეფერენდუმის აზრი, ჟურნალის სიტყვით, მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ჩეჩნეთი რუსეთის ნაწილად ცნეს და ჩეჩნებს დამოუკიდებლობის იმედი გადაუწურეს, არამედ ისიც, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევის კანონები დაუდგინეს. ამ უკანასკნელთა დანიშნულება გარეგნულად არის „ჩეჩნეთის ჩეჩენიზაცია", რამდენადაც მას „არჩეული" მთავრობა ეყოლება, ნამდვილად კი ისაა, რომ ყოველივე ის, რაც ხდება და მოხდება, ამ მარიონეტებს გადააბრალოს, თვითონ კი პასუხიმგებლობა აიცილოს, თანაც, თითქოს, თავისი „პირობა" შეასრულოს და ჩეჩნეთის „ავტონომიურობა" დაიცვას. შესაძლოა, მიზანი ისიც იყოს, რომ ჩეჩნეთის კონტროლი სამხედროთა ხელიდან სამოქალაქო მოხელეებს გადასცენ, რადგან პუტინი, შესაძლოა, სამხედროებს ძალიან არ ენდობა. მის მიერ კონფლიქტის ვერდამთავრება, შესაძლოა, იმითაცაა განპირობებული, რომ იგი ვერ აიძულებს არმიას ჩეჩნეთიდან გავიდეს, სადაც მისი მესვეურები დიდ ფულს შოულობენ სახელმწიფო ფულის მითვისებით, იარაღის ვაჭრობით, ადამიანთა გატაცებითა და რეკეტით. რაკი ახალი კონსტიტუცია უფლებას აძლევს რუსეთის პრეზიდენტს გადააყენოს ჩეჩნეთის პრეზიდენტი მოტივის დაუსახელებლად, გამქრალია დამოუკიდებლობის საფრთხე, მით უმეტეს, რომ რუსეთი ამგვარი არჩევნებით, ახლა რომ რეფერენდუმი ჩატარდა, ჩეჩნეთს თავისთვის სასურველ კაცს „აარჩევინებს".




მეორე მხრივ, ჩეჩნეთის პრეზიდენტს თავისი ხალხის მიერ ასე თუ ისე აღიარებაც სჭირდება. არ არის გამორიცხული, რომ ომით გაბეზრებული ჩეჩნებისათვის კადიროვი სხვებზე ნაკლებ არასასურველი პრეზიდენტიც იყოს.

# ჭრელი პოლიტიკური ქსოვილი სამუსლიმანოში

## (ორი დიდი შეჯახება ივლისში)

ამერიკული ჟურნალი EIR, რომელიც არაა სიმპათიურად განწყობილი ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკისადმი, ბეჭდავს რამკიანუ მაიტრას წერილს ირან-პაკისტან-ავღანეთის რეგიონში შექმნილი საშიში მდგომარეობის შესახებ. 4 ივლისს პაკისტანში ქ. ქვეტაში პარასკევ დღეს, ლოცვის დროს მეჩეთში შეიჭრა სამი ტერორისტი, მათ შორის ერთი — თავისმკვლელი. 2000 მლოცველთაგან 53 დაიღუპა, 57 დაშავდა. მლოცველები შიიტები იყვნენ ავღანელი ჰაზარას ტომიდან, რომლის ერთი ნაწილი რამდენიმე თაობით ადრე პაკისტანში შესახლდა, თავდამსხმელები — ვაჰაბიტი სუნიტები პაკისტანშივე არსებული ექსტრემისტული სექტიდან, რომელიც უხვადაა გაჯერებული პაკისტანის ერთ-ერთი სპეცსამსახურის („აი-ეს-აი". ISI), ალ-ყაიდასა და თალიბანის ხალხით. მანამდე ერთი თვით ადრე მოკლეს 13 იმავე ტომის შვილი შიიტი, პოლიციის კურსანტები. 4 დღის შემდეგ ამას მოჰყვა საპასუხო აქციები ქაბულში. ორი ათასმა ავღანელმა იერიში მიიტანა პაკისტანის საელჩოზე, ხოლო ათასმა სხვამ, ცენტრალური ბანკის გამგის მეთაურობით, დემონსტრაცია მოაწყო პროტესტის ნიშნად იმის გამო, რომ პაკისტანის შეიარაღებული ძალები 40 კმ-ით შეიჭრნენ ავღანეთის ტერიტორიაზე ალ-ყაიდელთა და თალიბთა საძებრად. საქმე ის გახლავთ, რომ ამერიკელები დიდი ხანია ცდილობენ პაკისტანელების ჩაბმას აქტიურ მოქმედებაში ამ ორი ორგანიზაციის წინააღმდეგ, პაკისტანის პრეზიდენტი კი ეთანხმება, მაგრამ ფეხს ითრევს. ამჯერად ასეთი ოპერაცია შედგა. საყურადღებოა, რომ ამ ძალიან დრამატულ დღეებში პაკისტანის პრეზიდენტი გენერალი მუშარაფი ადგილზე არ იმყოფებოდა — იგი 18 დღით წასული იყო ევროპის ქვეყნებში.

ჰაზარას ტომის პირთა წინააღმდეგ ჩატარებული ტერაქტი, ჟურნალის სიტყვით, მოულოდნელი არ იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავღანეთში ხელისუფლებაში იყვნენ თალიბები — ეს ძირითადად ვაჰაბიტი სუნიტები — ისინი მტრობდნენ ჯაზარას შიიტ ტომს და ერთხელ ულეტაც მოუწყეს ჰერათის პროვინციაში. ამის შემდეგ ჰაზარელები ჩრდილოავღანურ ალიანსს (ჯგუფს, რომლის ხელითაც თალიბების დამხობა მოხდა) აწვდიდნენ სადაზვერვო ცნობებს თალიბებისა და ალ-ყაიდას რაზმების შესახებ და, საერთოდ, ისინი პროამერიკულად განწყობილნი არიან. მაგალითად, მათ არ სწყენიათ ამერიკელთა შესვლა ავღანეთში და ერაყში, მაგრამ ძალიან სწყინთ ამერიკელების პოზიცია მთავარი შიიტური ქვეყნის — ირანის მიმართ. თუ დავუჯერებთ ინდოეთის დაზვერვის ცნობებს, სწორედ ქვეტელი ჰაზარელების დამსახურება იყო ის, რომ ამერიკელებმა შეძლეს ალ-ყაიდას ერთ-ერთი ლიდერის, ხალიდ შეიხ მოჰამედის დაჭერა, ხოლო 4 ივლისის ტერაქტი იყო სამაგიეროს მიზღვა თალიბებისა და ალ-ყაიდას მიერ, რომელთაც (ასე ფიქრობენ ინდოელები) ჩუმად თანაუგრძნობდა პაკისტანის „აი-ეს-აი".

ის, რაც ხდება, ჟურნალის სიტყვით, დიდად აფიქრებს ინდოეთს. ინდოეთი ვერ ალწევს იმას, რომ პაკისტანის სპეცსამსახურებმა შეწყვიტონ ინდოეთის შტატებში ჯამუსა და ქაშმირში ისლამისტური ძალების დახმარება, რომლებიც იქ მწარე ომს აწარმოებენ ინდოეთისაგან გამოყოფისა და პაკისტანთან შეერთებისათვის, მაგრამ მას იმედი ჰქონდა, რომ ამერიკელები შეძლებენ პაკისტანზე ზეგავლენას, რათა ამ პრაქტიკაზე ხელი აალებინონ. ამიტომაც ინდოეთმა გადადგა ნაბიჯი პაკისტანთან ურთიერთობის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებისაკენ და მას უმაღლეს დონეზე მოლაპარაკება შესთავაზა. დღევანდელი გამწვავება, რომელიც, ჟურნალის აზრით, უფრო ღრმაა, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს, ინდოეთს აეჭვებს თავისი ამ იმედის მართებულობის თაობაზე. მოლაპარაკება გადადებულია და შეიძლება აღარც შედგეს.

# ჩვენი მეზობელი თურქეთი

ერთი წელიწადიც არ გასულა, რაც თურქებმა დიდი უმრავლესობით ხმა მისცეს „სამართლიანობისა და განვითარების პარტიას" ერდოგანის მეთაურობით და ერთპარტიული მთავრობა შექმნეს. კორუფციადარეული და არაშედეგიანი ხელისუფლება შესახედად ძლიერით შეიცვალა, რომელიც თურქეთის ძირითადი პრობლემების — ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების, კვიპროსის პრობლემის მოგვარებისა და ევროკავშირში თურქეთის შეყვანის — იმედს იძლეოდა. მას აქეთ ეს ნდობა თანდათან ცვდება. ეკონომიკა კვლავ არამყარია, კვიპროსზე გაეროს გეგმა არ გავიდა და გადაიდო, ხოლო ერაყის ომმა და მისგან გამოწვეულმა ამერიკულ-თურქულმა უთანხმოებამ მძიმე პერსპექტივა დასახა.

თურქეთის კრიზისულ ეკონომიკას მძიმედ დაარტყა ტურიზმის შემცირებამ ომის შედეგად (მას წლიურად 13 მილიონი დოლარი შემოაქვს) და სამხრეთში, ღარიბ ქურთულ პროცინციებში ერაყის ნავთობის უკანონო ტრანზიტის შეწყვეტამ. თურქეთის პარლამენტის უარმა, ამერიკელებისათვის მიეცათ გზა ერაყზე დარტყმის მისაყენებლად, მას 24 მილიარდი დოლარის სესხები და გრანტები დააკარგვინა, ხოლო შემდგომმა თანხმობამ, რომ საჰაერო დერეფანი მიეცა ამავე მიზნისთვის, 8 მილიარდი ალუდგინა. ქურთებზე დარტყმა თურქებმა ვერ გაბედეს, რადგან ამერიკელებმა არ ურჩიეს, ამ რჩევის მიზეზი კი იყო ქურთებისგან მოსული გაფრთხილება, თურქებს ომით ვუპასუხებთო. ამერიკელებზეა დამოკიდებული სავალუტო ფონდის დახმარებაც, რომელიც თურქეთს ძალიან სჭირდება თავისი 93 მილიარდ დოლარიანი ვალის (აქედან 80 მილიარდი — საშინაო მოკლევადიანი ვალი) გამო. ეკონომიკური ნდობა მთავრობისადმი მკვეთრად დაეცა იმის გამო, რომ, პოპულიზმით გატაცებულმა, მან ხელფასები მიუმატა სამოქალაქო სამსახურის მოხელეებს ისე, რომ არ იკითხა, ეს ფული საიდან მოვა. ასევე უფინანსებოდ რჩება 15 ათასი კმ. საავტომობილო გზების გაყვანის შეპირებული გეგმაც. მთავრობამ რომ განზრახვა გამოთქვა, ხარჯებს შევამცირებთ და გადასახადებს გავზრდითო, სავალუტო ფონდი დასთანხმდა 1,6 მილიარდი დოლარის სესხად მიცემას, მაგრამ მას აძლევს ნაწილ-ნაწილ, რათა თურქულმა მხარემ ეს პირობა ვერ დაარღვიოს.

დემოკრატიული რეფორმების მხრივაც საქმე ადვილად არ მიდის. ერდოგანის მმართველობაში აიკრძალა (თუმცა პროცესი წინა ხელისუფლების დროს იყო დაწყებული) პროქურთული პარტია „ჰადეფი". მეორეს მხრივ, პარლამენტმა მიიღო მთელი რიგი აქტებისა, რომლითაც გაძნელდება პარტიების აკრძალვა და გაადვილდება პატიმართა წამებაში ეჭვმიტანილთა სამართლებრივი დევნა. გაუქმდა აგრეთვე კანონისმიერი აკრძალვა ლათინური ასო დუბლვეს (W) ხმარებისა, რომელიც თურქულ ანბანში არაა, ქურთულში კი არის (ამ კანონის დარღვევისთვის არაერთი ქურთი გამომცემელი ციხეში იყო წასული). ელოდებიან აგრეთვე, რომ პარლამენტი გააუქმებს სასჯელთა საკანონმდებლო შემსუბუქებას ე. წ. „ღირსების დანაშაულობებისთვის", როგორიცაა, მაგალითად, მამაკაცთა მიერ გაუთხოვარი ნათესავი ქალების მოკვლა შეცოდებებისათვის, — თვით ისეთი მცირედისთვისაც კი ზოგჯერ, როგორიცაა გარეშე მამაკაცთან კინოში წასვლა. განზრახულია აგრეთვე კანონმდებლობის შერბილება (და არა გაუქმება!), რომელიც ქურთულ ენაზე რადიოგადაცემას კრძალავს. მაგრამ ბევრად უფრო ძნელი იქნება — THE ECONOMIST-ის აზრით — პოლიტიკაზე გენერლების გავლენის შემცირება. ისინი თავის ნებას კარნახობენ თავდაცვის მინისტრს, ხოლო მაშინ, როცა საქმე კვიპროსს ეხება — პრემიერ-მინისტრსაც.


თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოგანი

სანამ პრემიერი გახდებოდა, ერდოგანმა სცადა კვიპროსელი თურქების ლიდერი რ. დენქთაში დაეყოლიებინა გაეროს გეგმის მიღებაზე, რომელიც ბერძნებთან შეთანხმებას შეეხებოდა, მაგრამ გენერლებმა მას უხეშად ხელი აალებინეს ამ მცდელობაზე, რადგან იმ კვიპროსულ პლაცდარმთან დაკავშირებით გარკვეული გეგმები აქვთ. გენერლებს მხარი დაუჭირა თურქეთის პრეზიდენტმა სეზერმაც, რომელიც გენერლებში ხედავს ქმედით საპირწონეს რელიგიური წრეების წინააღმდეგ, მით უფრო, რომ ერდოგანი ერთ დროს ისეთი ისლამური პარტიის წევრი იყო, რომელიც აკრძალეს საერო ხელისუფლების დამხობის განზრახვის ბრალდებით.

ჯამში, ერდოგანის პოზიცია მერყევია ისლამისტურსა და საეროს შორის. მისი ძველი მოკავშირეები, ისლამისტები მას პრინციპებიდან გადაცდომას უსაყვედურებენ, თუმცა, მეორეს მხრივ, მისი ცოლიც და მისი ნახევარი კაბინეტის ცოლებიც ისლამური ტრადიციისამებრ თავდახურულნი დადიან.




# რად უჯდება ინგლისს მოკლე ომი?

1991 წლის ერაყის ომში მონაწილეობა დაახლოებით 45 ათასი სამხედრო მოსამსახურით ინგლისელებს დაუჯდათ 2,5 მილიარდი ფუნტი, რაც დღევანდელი კურსით 3,3 მილიარდს უდრის. ეს ტვირთი ინგლისს დიდად შეუმსუბუქა იმან, რომ ამ თანხის დიდი ნაწილის გადახდაში სხვანი შეეხიდნენ, მათ შორის — იაპონია და გერმანია. ამჯერად ინგლისის ხარჯებმა ერაყის ომში დაახლოებით 3,5 მილიარდი ფუნტი შეადგინა, რაც ასატანია, ანუ არ იწვევს არც სახელმწიფო ბიუჯეტის დანარჩენი სფეროების შეკვეცას, არც გადასახადთა გაზრდის აუცილებლობას. მაგრამ რა იქნება შემდეგ, როცა წამოვა და წამოვა ახალი მოთხოვნები სამხედრო საჭიროებებისათვის, როგორიცაა შეიარაღებულ ძალთა შემდგომი სრულყოფა ან, ვთქვათ, სამშვიდობო ოპერაციები დედამიწის რომელსამე ცხელ წერტილში? ბოსნიისა და კოსოვოს გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ათი ათასი მეშვიდობის განლაგება და მოქმედება ერთი წლის მანძილზე ჯდება 1,6 მილიარდი ფუნტი, ხოლო თუ ამას ზედ მივათვლით ჰუმანიტარული დახმარებისა და რეკონსტრუქციის ხარჯებს, მაშინ ამ თანხას ზედ კიდევ 25 მილიარდი დოლარი უნდა დავუმატოთ.



დიდი ბრიტანეთის საჯარო ხარჯები მთლიანად შეადგენს 455 მილიარდ ფუნტს, ანუ მთლიანი ეროვნული პროდუქტის 41%-ს, დღეს სათავდაცვო ბიუჯეტი მთელი ეროვნული შემოსავლის 2,3%-ს შეადგენს, რაც ნაკლებია 15 წლის წინანდელ 4%-ზე. მაგრამ თუ ზემოხსენებული სამხედრო ამოცანები ძალაში დარჩა ან ძალაში შევიდა, საჭირო გახდება დღევანდელი ხარჯების გაზრდა წლიური 1,2%-ით.

THE ECONOMIST

# აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

*დასასრული. დასაწყისი „საქართველო" №13*

პენტაგონისა და ნატოს ხელმძღვანელობამ იცოდა აშშ შეიარაღებული ძალების ეს სუსტი მხარე და მის კომპენსირებას ახდენდნენ ნატოს ბლოკის დასავლეთევროპული კონტინენტური სახელმწიფოების ხარჯზე, სადაც რეგულარულ შეიარაღებულ ძალებში გაწვეულთა შედარებით მაღალი პროცენტის გამო მომზადებული რეზერვისტების უფრო მეტი რიცხვი გააჩნდათ. მე-2 ცხრილში იმავე ლონდონური წყაროს 1991 წლის მონაცემებით მოყვანილია აშშ-სა და ნატოს ბლოკის სხვა სახელმწიფოების, აგრეთვე სსრკ-ისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის აღმოსავლეთევროპული ქვეყნების მოსახლეობისა და ომის საწყის ეტაპზე გამოსაყვანი შეიარაღებული ძალების რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლები.

(იხ. ცხრილი 2)

(ცხრილი 2)

| მოსახლეობა და შეიარაღებული ძალები | ნატოს ბლოკი | | | | | ვარშავის პაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აშშ | კანადა | დიდი ბრიტანეთი | ნატოს ევროპ. კონტინ. ქვეყნები | სულ ნატოში | სსრკ | ვარშავის პაქტის ევროპ. ქვეყ. | სულ ვარშავის პაქტში |
| მოსახლეობა | 250 348 800 | 26 820 800 | 56 670 800 | 342 939 400 | 676 779 800 | 290 527 800 | 96 818 400 | 387 345 600 |
| რეგულარული შეიარაღებული ძალები (მოსახლეობის %) | 2096 600 (0,84) | 86 600 (0,32) | 300 100 (0,32) | 2 591 650 (0,75) | 5 007 950 (0,74) | 3 400 000 (1,15) | 853 300 (0,88) | 4 253 300 (1,09) |
| I რიგის რეზერვები (მოსახლეობის %) | 1926 400 (0,77) | 64 500 (0,24) | 347 200 (0,61) | 4 608 600 (1,35) | 6 946 600 (1,03) | 5 239 000 (1,46) | 2 310 500 (2,39) | 7 549 500 (1,95) |
| ომის საწყის ეტაპზე გამოსაყვანი ძალები (მოსახლეობის %) | 3956 000 (1,58) | 151 100 (0,57) | 647 300 (0,57) | 7 200 150 (2,10) | 11 954 550 (1,80) | 8 639 00 (2,52) | 3 163 800 (3,28) | 11 802 800 (3,05) |

დღესდღეობით, რუსეთის ფინანსურ-ეკონომიკურად მკვეთრად დასუსტებისა და მისი სამხედრო შესაძლებლობების დაქვეითების, აგრეთვე ნატოს ბლოკის გაძლიერებისა და გაფართოების პირობებში პროფესიული შეიარაღებული ძალების შექმნისა და ცივი ომის დროინდელი კანადა-დიდი ბრიტანეთის რიცხობრიობის შეიარაღებული ძალების მშენებლობის გზას დაადგნენ ნატოს ბლოკის წევრი მცირე ევროპული სახელმწიფოებიც — ნიდერლანდები, ბელგია, დანია და პორტუგალია, ანუ ისინი, ვინც თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობით დიდად არიან დაშორებული რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის „ცხელ რაიონებს". მათ საპირისპიროდ ნორვეგიას, საბერძნეთისა და თურქეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ასეთი „ცხელი რაიონების" მეზობლად მდებარეობენ, კვლავინდებურად მაღალი პროცენტით (შესაბამისად დაახლოებით 57, 62 და 87) აკომპლექტებენ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის საფუძველზე გაწვეული პირადი შემადგენლობით და მათ ომიანობის დროს ან კრიზისულ პერიოდში გამოსაყვანად დაგეგმილი რეზერვისტების მნიშვნელოვანი რიცხვიც გააჩნიათ.

რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობას, მისთვის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების ამერიკულ-კანადურ-ბრიტანული მოდელი, რომელმაც 2000-იან წლებში ნატოს ბლოკის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც გადმოინაცვლა, პრინციპულად მიუღებელია, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და მახლობელ რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური პირობები მკვეთრად განსხვავდება ჩრდილო ამერიკის ან ჩრდილო-დასავლეთ ევროპის შესაბამისი პირობებისგან. როდესაც 1996 წელს ჩვენში პირველად შემოსული ნატოელი და ამერიკელი ექსპერტები გვირჩევდნენ საქართველოს სამხედრო მშენებლობაში კურსი აგველო ფინეთის, შვედეთის, შვეიცარიის, აგრეთვე ისრაელისა და სინგაპურის გამოცდილების შესწავლისა და გაზიარებისკენ, მაშინ ისინი გულწრფელნი იყვნენ და პატიოსნად იმეორებდნენ თავად ამერიკის პრაქტიკას — დაყრდნობას არსებული პირობების გათვალსწინებისა და მსგავს პირობებში მყოფი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებაზე.

მაგრამ თუნდაც ფინეთის, შვედეთისა და შვეიცარიის სამხედრო მშენებლობის გამოცდილების საქართველოში გამოყენებას წინ ელობებოდა შემდეგი გარემოება — ამ ქვეყნების სარდლობები გეგმავენ ომიანობის დროს შეიარაღებულ ძალებში მოსახლეობის დაახლოებით 10-ის მობილიზებას (სახელდობრ, 5-მილიონიან ქვეყანაში 500-550 ათა-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# სამხრეთ კორეელთა ოცნებები

სამხრეთ კორეელთა განწყობილებას მნიშვნელობა აქვს ამერიკულ-ჩრდილოკეორეულ ურთიერთობათა განვითარებისათვის, ამ უკანასკნელს — ამერიკულ-ირანულისათვის და ამერიკულ-ირანულისას — საქართველოსთვის. „THE ECONOMIST"-ის მასალიდან მკითხველი დაინახავს იმასაც, რა მონდომებითაა ჩართული სამხრეთ კორეა თავის ეკონომიკურ გეგმებში (რის გამოც თავის ნახევარკუნძულზე მშვიდობა, უთუოდ, ომს ურჩევნია), და იმასაც, რა შეუძლია ქვეყანას, თუ ეკონომიკური ჩავარდნის შემდეგ მის სათავეში კარგი ხელისუფლება დგას.

სამხრეთ კორეას ძალიან უნდა გახდეს ჩრდილო-აღმოსავლეთი აზიის ფინანსური ცენტრი და ამ ფუნქციით თავისი დედაქალაქი სეული ტოკიოს და შანხაის შეუტოქოს. 5 წლის წინ, როცა კორეას მწვავე ეკონომიკური კრიზისი ჰქონდა, ეს შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ დღეს კორეას 6% წლიური ზრდა აქვს ეკონომიკაში (ჩინეთს კრიზისი არ ჰქონია, მაგრამ 8% ზრდა აქვს) და ეს გეგმა ფანტასტიკური აღარ ჩანს. რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედამიწის ამ რეგიონის ფინანსურ ოპერაციათა ცენტრად ყოფნას, იქიდან ჩანს, რომ ამ ტერიტორიაზე მსოფლიოს საერთო შინაგანი პროდუქტის (GDP) ერთი მეხუთედი მოდის. კორეის დღევანდელი პრეზიდენტი აქტიურად მხარს უჭერს ამ პროექტს და მის განხორციელებას თავისი პოლიტიკის 12 პრიორიტეტს შორის ასახელებს. სეულის უპირატესობები კონკურენტულ ბრძოლაში ისაა, რომ კორეა მოზრდილი ეკონომიკური ერთეულია (თუმცა მისი მრეწველობის პოზიციები დიდად შეავიწროვა ჩინეთმა), საინფორმაციო-ტექნოლოგიური კარგი ბაზა გააჩნია და საბანკო-საფინანსო საქმეში კარგა განათლებული მუშახელი ჰყავს. გარდა ამისა, 1997-98 წლების კრიზისის დროს მისი საფინანსო სექტორის დიდი გადასტრუქტურირება მოხდა. რაც შეეხება მთავარ კონკურენტ ქალაქს — შანხაის — მას ამ ბრძოლაში რეგიონის ფინანსურ ოპერაციათა ცენტრობისათვის ძალიან უშლის კომუნიზმი. მხოლოდ ის რად ღირს, რომ კომუნიზმი პრესის თავისუფლებას ზღუდავს, ფინანსურ ოპერაციებში ჩართულ ადამიანებს კი, პირველ ყოვლისა, სანდო და სწრაფი ინფორმაცია სჭირდებათ! ტოკიოც დიდი მეტოქეა, მაგრამ იქაური საფინანსო ორგანიზაციები ძირითადად საკუთარი, იაპონური საქმეებით არიან დაკავებულნი.

ჟურნალი შენიშნავს, რომ სეული არაა პირველი ქალაქი მსოფლიოში, რომელსაც თავისთავზე ესოდენ დიდი და შემოსავლიანი ფუნქციის აღება მოუნდომებია, როგორიცაა ფინანსური ოპერაციების რეგიონალურ ცენტრად ყოფნა. ერთხანს ფრანკფურტმა მოიწადინა ამ ფუნქციაში შეჰცილებოდა ლონდონს, მაგრამ მარცხი განიცადა.

# ვინ არის ტელეკომპანია ალ-ჯაზირა?

ეს კომპანია დღეს ცნობილია მთელ მსოფლიოში, როგორც არაბული სამყაროს ცხელი წერტილებიდან და არაერთი სხვა ადგილიდანაც ყველა „ცხელ-ცხელი" და დასავლური გემოვნების არდამრიდი ინფორმაციის გამავრცელებელი. მაყურებელსა და პრესის მკითხველს ახსოვს მის ეთერში ისეთი ოდიოზური პირების ინტერვიუებისა და გამოსვლების გამოჩენა, როგორიცაა, მაგალითად, ბინ-ლადენი და ბოლო დროს — სადამ ჰუსეინიც. THE ECONOMIST-ის ცნობით, მისი დამფინანსებელია კათარის მთავრობა, ხოლო მის თანამშრომელთა დიდი ნაწილი ბი-ბი-სი-ს არაბული სამსახურიდანაა მოსული, რომელიც დღეს აღარ ფუნქციონირებს. კომპანია ფიქრობს, არაბული აღმოსავლეთის 45 მილიონი მაყურებელი მოიცვას და, გარდა ამისა, ინგლისურენოვანი ფართო მაუწყებლობაც ააგოს.

# რა არის ეს „გზათა რუკა"?



The Economist ფიქრობს, რომ იზრაელისა და პალესტინელების მზაობა მეტნაკლებად კონსტრუქციული შეთანხმებისათვის, რომელიც ჩადებულია ამერიკელთა მიერ მიღებულ ე.წ. „გზათა რუკის" გეგმაში, დამაჯერებელი არ არის. ორივე მხარისთვის ეს მეტ-ნაკლებად ტაქტიკური ნაბიჯია, რომლის შემდეგაც ორივენი კვლავ ბრძოლის გაგრძელებას მოელიან. ასეთი პროგნოზი ჟურნალს გაკეთებული აქვს ჯერ კიდევ სამი თვის წინ და ამ წინასწარმეტყველების თანდათან ახდომის მოწმენი დღეს უკვე ვართ.

გეგმის სახელია „გზათა რუკა პრობლემის ორსახელმწიფოიანი (იზრაელი და პალესტინა) გადაჭრისათვის". პირველი ნაბიჯი გადადგმულია პალესტინელთა მიერ, რომლებმაც შემოიღეს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად ახალი თანამდებობა პრემიერ-მინისტრისა, რომელზედაც გადავა მეტისმეტად უდრეკი არაფატის უფლებამოსილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი. ხოლო იზრაელის მხარემ „გააჟონინა" ინფორმაცია, რომ იგი ამ გეგმისათვის რამდენიმე მკაცრი „შესწორების" წარმოდგენას აპირებს.

გეგმა ითხოვს წლის ბოლოსათვის პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც ექნება დროებითი საზღვრები და სუვერენიტეტის ატრიბუტები. ებრაული მხარე ითხოვს სიტყვის „დამოუკიდებელი" ამოღებას და სიტყვის „ატრიბუტები" წინ სიტყვის „გარკვეულ" ჩართვას. იგი მოითხოვს აგრეთვე სიტყვების „მაქსიმალური ტერიტორიული უწყვეტობა" ამოღებას და სიტყვების „სადაც ეს შესაძლებელია" ჩართვას. ყველაზე მძიმე პირობა პალესტინისათვის არის იზრაელის წინააღმდეგ მოქმედ ჯგუფთა რადიკალური და დაუყოვნებელი დათრგუნვა, იზრაელისათვის — დასახლებათა შექმნის პოლიტიკაზე ასევე დაუყოვნებელი ხელის აღება, თვით „ბუნებრივი ზრდით" გათვალისწინებულის ჩათვლით.

# მიტაცებული უძველესი ქალდეური „სიბრძნის წიგნი“ და... უდიდესი ხიფათი საქართველოსთვის!

მე-2 გვერდიდან

ელ საქმოსანთა ჯგუფმა დაიკავა (რა თქმა უნდა, ფორმით ისევ „არალეგალურად“). ბევრი გამომძიებელთაგანი და მონაწილეთაგანი დღესაც ცოცხალია — ისინი თითქმის დაუფარავად „გრძნობდნენ“, რომ ასეთი იყო მაშინდელი „უმაღლესი ნება“.

ჯერაც არ მოგვიშუშებია პაწაწა „კაცუნა ვ. რაზმაძის“ და მისი შეთითხნილის „თახსირ-აკადემიურად დამაგვირგვინებლის“ ა. ბალუაშვილის პროკურატურის პროშევარდნაძისტული საგამომძიებლო ტომები. ეს ა. ბალუაშვილი, პროკურატურიდან ძლივს მოშორებული და იზრაელში „დასამოძღვრად“ მივლინებული, ისევ დაგვიბრუნდა კიდევ უფრო გამანადგურებელი ფუნქციით — სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ.

დიახ, ე. შევარდნაძის „ცრუყოჩობისა“ და მზაკვრობის უბოროტესი აქციაა, ადამიანობისა და კაცობრიობის წინაშე უმძიმესი, აქამდე საერთოდ გაუგონარი დანაშაულია მისი და არძინბას მიერ ერთობლივად საქართველოსთვის მოწყობილი (უკანასკნელ წვრილმანამდე და სიმდაბლემდე სკრუპულოზურად ორგანიზებული) სასაკლაო აფხაზეთში და არა მხოლოდ აფხაზეთში, რასაც ბოლომდე ვერაგულად ადგილზევე პირადად მართავდა ჩვენი „მამაცი დიდი პოლიტიკოსი“. (როგორც საყასბო-სასაკლაოზე „ცრუყოჩობს“, გილიოტინამდე არ მიღწეულს, გვერდითი კარიდან გაარიდებენ ხოლმე, ისე „გმირულად“ გამოაპარეს იგი სასაკლაოდ ქცეული სოხუმიდან, თანაც ისიც „მოხერხდა“, რომ ამ გაუგონარი ბოროტების პირუთვნელი მოწმე, უკვე ნამდვილად „ველ-არ მართვადი“ ჟიული შარტავა, სასწრაფოდ მოკლეს).

დღეს ბევრნი სამართლიანად საუბრობენ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალზე — აფხაზეთში მომხდარი ვანდალიზმის, სახელდობრ, ქართველთა გენოციდის და მათ წინააღმდეგ ჩატარებული ეთნიკური წმენდის მასალების წარდგენაზე ამ სასამართლოს წინაშე. საქართველოს ხელისუფლება ამას სისტემატურად შეგნებულად აფერხებდა, „წარმატებით“ ბლოკავდა. სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო რეაგირების გარეშეა დატოვებული უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნის — რუსეთის დუმის 25.09.1992 მსოფლიო პრაქტიკაში სამართლებრივად უპრეცედენტო გადაწყვეტილება მეზობელი დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ შეიარაღებული ინტერვენციის წაქეზებისა და ორგანიზების შესახებ რუსეთის ტერიტორიიდან, შედეგად კი საქართველოს ტერიტორიის ვანდალური ოკუპაციის ფაქტი! ნიშანდობლივი და დაუჯერებლად ამაზრზენია, რომ რუსეთის პარლამენტის ამ ოფიციალური გაუგონარი მუქარა-გადაწყვეტილებიდან სამიოდე დღეში „ჩვენი დიდი პოლიტიკოსი“ „გაეროს“ გენერალური ასამბლეის უმაღლესი ტრიბუნიდან „ხეს და მიწას ედებოდა“ და ამ აშკარად ღია აგრესიის საფრთხეზე სიტყვაც არ დაუძრავს(!?). ხოლო კიდევ სამიოდე დღეში — 1 ოქტომბერს დაიწყო და განხორციელდა „გაყიდული“ გაგრის შემზარავი ტრაგედია — ქართველი ერის გენოციდი, მისი შემდგომი უკვე კატასტროფული შედეგებით. როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია!

ამ უკვე ათი წლის ხანდაზმულობის მქონე მასალების ფონზე, სახეზეა იმავე დანაშაულის (თითქმის უწყვეტად) ახალი გაგრძელების ფაქტებიც, ე.ი. დანაშაულებრივ ქმედებათა პერმანენტულობის მტკიცებულება (ე.წ. ხანდაზმულობის ვადის გადახედვის საფუძველი), რომელთა გატანას საერთაშორისო სასამართლოზე სჭირდება მხოლოდ ერთი რამ — საქართველოს პარლამენტის მიერ რომის კონვენციასთან შეერთების აქტის გატარება (რატიფიკაცია), რასაც პარლამენტში ხუთწუთიანი პროცედურა სჭირდებოდა, მეტი არა (ეს ახლაღა გავიდა ქუჩის აქციის მეშვეობით.). ერთობლივ პოლიტიკურ მაქინაციებში გასვრილი შევარდნაძის ვითომ მუქარა არ აშინებს არძინბას და ამიტომ იქცა ეს უკანასკნელი „ბატონ არძინბად“ საქართველოს პრეზიდენტის ლექსიკონში. როგორც თავიდანვე ვეჭვობდით, არძინბას მისი პატრონების ანუ რუსებისაგან, მოეპოვება საკმარისი მასალები, რომლითაც შესაძლებელია ომის პროვოცირებასა, წაგებასა და

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## — კვება და ჯანმრთელობა —

# ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით სასარგებლო პროდუქტები და „სამი სიკეთის“ მეთოდი

„როგორ ვიკვებოთ, რა პროდუქტები უნდა მივიღოთ, რომ კვება ჩაითვალოს სრულფასოვნად და ორგანიზმმა საკმაო რაოდენობით მიიღოს ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები?“ ამ კითხვაზე მოკლე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რამდენადაც ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკური აღნაგობით, ჯანმრთელობის მდგომარეობით, ასაკით. ყოველ ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. მაგრამ არსებობს კვების ზოგადი, საერთო პრინციპები, რომელთა დაცვა ერთნაირ სარგებლობას მოიტანს ადამიანთა ყველა ჯგუფისათვის და მკურნალობის ნატუროპათიულ მეთოდებთან კომბინაციაში გამოიწვევს ჯანმრთელობის მკვეთრ გაუმჯობესებას. ეს პრინციპებია:

1) საკვები პროდუქტების სწორი შერწყმის, კომბინაციის ცოდნა (იხ. „საქართველო“, №13 2003 წ.)

2) ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით სასარგებლო პროდუქტების ცოდნა და „სამი სიკეთის“ მეთოდის გამოყენება.

3) ორგანიზმის გამატუტიანებელი პროდუქტებით უპირატესად კვება.

4) საკვები პროდუქტების სწორად მომზადების წესების ცოდნა.

5) ძველი ქართული, ჩინური და ტიბეტური მედიცინის საფუძველზე კვების პროდუქტების შერჩევა ადამიანის კონსტიტუციური ტიპების მიხედვით.

ახლა გადმოგცემთ, თუ რა წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებულად სასარგებლო პროდუქტებს და რაში მდგომარეობს „სამი სიკეთის“ მეთოდის არსი.

საკვები პროდუქტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო შედგენილობით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა ზიანის ან სიკეთის მოტანა შეუძლიათ ადამიანის ჯანმრთელობისათვის. იმ პროდუქტებს შორის, რომელთა მიღება ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა, გ. შელტონის, ოზოვას, ა. ბრეგის, ი. ლიტვინას, გ. მალახოვის და სხვა ცნობილი ნატუროპათების შრომებზე დაყრდნობით, ჩვენ შევადგინეთ განსაკუთრებით სასარგებლო პროდუქტების სია, რომელთაც აქ გთავაზობთ:

განსაკუთრებით სასარგებლო პროდუქტები:

ასფურცელა
ასკილი
ბაბუაწვერას ფესვი
გოგრა (ნედლი)
გოგრის თესლი
ვაშლის ძმარი
ზღვის კომბოსტო
თხილი
კუნელი (სასმელი)
კაკალი
ლელვი
ლიმონი
მარწყვი
მზესუმზირის თესლი
მოცვი
ნებისმიერი ბალახის ჩაი
ნიახური
ნარევი: ლიმონი და ფორთოხალი (კანიანად), თაფლი, ნედლი ბაბუაწვერას, ჭინჭრის, ცაცხვის ფოთლების და მარიამსხალის წვენი.
ნიორი
პირშუშხა
ჟოლოს მშრალი ფოთლების ფხვნილი
სიმინდის ზეთი
სოია, სოიას ფქვილი
ფინიკი
ყვავილის მტვერი
ყველა ახალი ბოსტნეული და ხილის წვენი
შავი მოცხარი
შავი ქლიავი
შირბახტი
შტოში
ჩაი (მწვანე)
„ცხარე“ და სხვა ბოსტნეულის თესლი
ძახველი
წითელი მოცვი
ჭერამი
ხორბალი (გაღვივებული)
ხახვი.

ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტები აუცილებლად უნდა მიიღოს ყველა ადამიანმა, როგორც ჯანმრთელმა, ასევე ავადმყოფმა, აგრეთვე ყველა იმან, ვინც ორგანიზმის გაწმენდის სრული კურსი ჩაიტარა და სურს მის ორგანიზმს არ მოაკლდეს აუცილებელი ვიტამინები, მიკროელემენტები, ნახშირწყლები, ცილები და ა.შ. რა თქმა უნდა, ყოველთვის ძნელია ზემოთჩამოთვლილი ყველა პროდუქტის ყოველდღიურად მიღება, აქ კი გამოგვადგება „სამი სიკეთის“ წესი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ დღის განმავლობაში მივიღებთ სიაში ნაჩვენები განსაკუთრებით სასარგებლო პროდუქტებიდან თუნდაც სამ პროდუქტს, მაშინ ჩვენი კვება შეიძლება სრულფასოვნად ჩავთვალოთ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ არჩეულ სამ პროდუქტს უნდა დავჯერდეთ. ეს პროდუქტები წარმოადგენენ მხოლოდ დამატებას ძირითად კვებაზე, მაგრამ ამ დამატების გარეშე ვერანაირი კვება სრულფასოვანი ვერ იქნება.

სიაში მოცემული პროდუქტების სვადასხვა კომბინაციები თქვენ თვითონ შეგიძლიათ შეადგინოთ და ყოველდღიურად მიირთვათ, მხოლოდ გახსოვდეთ: პროდუქტები სიიდან არ უნდა იყოს სამზე ნაკლები (მეტი შეიძლება და უკეთესიცაა). გთავაზობთ ერთ-ერთ ვარიანტს:

300-300 გ კაკალი, ჭერამი, ქიშმიში, 2 ლიმონი (კანიანად) გავატაროთ ხორცსაკეპში. დავუმატოთ 300 გ თაფლი.

მიღება: 1-2 ჩაის კოვზი დღეში. ინახება მაცივარში. განსაკუთრებით სასარგებლოა სტაციონარში მწოლიარე ყველანაირი ავადმყოფისათვის.

### ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით სასარგებლო ზოგიერთი პროდუქტის სამკურნალო თვისებები

#### ბაბუაწვერას ფესვის ყავა

სამკურნალო ეფექტი: შესანიშნავი საშუალებაა გულის და ნერვული სისტემის დაავადებების, ართრიტის, რევმატიზმის დროს.

მომზადების წესი: ბაბუაწვერას კარგად გარეცხილი და გამომშრალი, მცირე ნაჭრებად დაჭრილი ფესვები კარგად მოვხალოთ ტაფაზე, დავფქვათ ყავის საფქვავით. მოვხარშოთ ისე, როგორც ყავა (ავიღოთ 1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე, გავაჩეროთ ათი წუთი და გავწუროთ).

დავლიოთ თაფლთან და ლიმონთან ერთად.

#### კუნელის სასმელი

სამკურნალო ეფექტი: ხსნის გულის არეში ტკივილისა და სიმძიმის შეგრძნებას, ამაგრებს გულის კუნთს, ამშვიდებს ნერვულ სისტემას. სტენოკარდიის, გულის მუშაობის მკვეთრი დარღვევის დროს საიმედო დამხმარე საშუალებაა. ახდენს ანტისკლეროზულ და წნევისდამწევ მოქმედებას.

მომზადების წესი: კუნელის 25-30 ნაყოფს საღამოს ჩავყრით თერმოსში, დავასხამთ 1 ლ მდუღარე წყალს და გავაჩერებთ დილამდე. დილით ნაყენი მზადაა.

მიღება: კუნელის ნაყენის მიღება შეიძლება დოზირების გარეშე, როგორც ჩაი. თერმოსში ნაყენის ჩამთავრების კვალობაზე თერმოსში ხელახლა უნდა ჩავამატოთ მდუღარე წყალი — ასე შეიძლება 4-6 დღის განმავლობაში (ნაყენი ყოველ დღე ხდება სულ უფრო კონცენტრირებული და გემრიელი).

#### ლიმონის, ფორთოხლის და თაფლის ნარევი

სამკურნალო ეფექტი: წმენდს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ორგანიზმს არტერიული წნევის შენარჩუნებაში, აქედან გამომდინარე: სტენოკარდიის, ინფარქტების, თავის ტვინში სისხლჩაქცევების — ინსულტის განვითარების შესაძლებლობას სპობს.

მომზადების წესი: 2 ცალი საშუალო ზომის ლიმონი და 2 ცალი ფორთოხალი თავის კანიანად დავჭრათ ნაწილებად, მოვაცილოთ თესლები და გავატაროთ ხორცსაკეპში. გატარებულ მასას შევურიოთ 2 სუფრის კოვზი თაფლი. ნარევი გავაჩეროთ მინის ქილაში 1 დღე ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ კი მოვათავსოთ მაცივარში.

მიღება: 2-3 ჩაის კოვზი დღეში ჩაისთან ერთად ან ჭამამდე 30 წუთით ადრე.

#### სოიო

დახასიათება: სოიოს მარცვალი შეიცავს 40-მდე ადვილადასათვისებელ ცილებს, 22-მდე ცხიმებს, ბევრ ვიტამინებს და მინერალურ მარილებს. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ის შეიცავს ლეციტინს — ფოსფორით მდიდარ ნივთიერებას.

პოლ ბრეგი წერს: „ლეციტინი — ეს ერთ-ერთი ძირითადი საჩუქარია ღმერთისა ადამიანისადმი“. ღვიძლი ქოლესტერინის გარდა გამოიმუშავებს ლეციტინსაც. ლეციტინი ნაღვლის ბუშტში შეერევა ნაღველს და ხვდება წვრილ ნაწლავში, წარმოადგენს რა მძლავრ, ცხიმების დამშლელ აგენტს.

სამკურნალო ეფექტი: ის ადამიანები, რომლებიც სოიოს იყენებენ საკვებად, იშვიათად ავადდებიან „სისხლძარღვოვანი“ პათოლოგიებით. მაგალითად, ჩინელთა კვებაში სოიოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თრომბოზები, სისხლძარღვთა დეგენერაციული დაავადებები მათში არ გვხვდება, სისხლში ქოლესტერინის დონე უმრავლეს შემთხვევებში ნორმის ფარგლებშია.

მომზადების წესი: სოიოს მარცვლები მოხარშვამდე უნდა დავალბოთ ღამის განმავლობაში (სასურველია ანადუღარ წყალში), შემდეგ მოვხარშოთ 5-6 საათის განმავლობაში ჩვეულებრივ ჭურჭელში.

სოიოს „რძე“ — ნახევარი ჩაის კოვზი სოიოს ფქვილი გავხსნათ ნახევარ ჭიქა წყალში. თუ მის მოსამზადებლად გამოვიყენებთ სოიოს მარცვლებს, მაშინ 1 ჩაის ჭიქა სოიოს ვყრით 5 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში.

#### სიმინდის ზეთი

სამკურნალო ეფექტი: სიმინდის ზეთი მზადდება მწიფე სიმინდის მარცვლების ჩანასახისაგან (მარცვლის ყველაზე „ცოცხალი“ ნაწილი). ეს არის ორგანიზმისათვის ადვილადასათვისებელი და აუცილებელი უჯერი მჟავების წყარო. (სუფრის კოვზის მიღება დღეში 2-ჯერ (საუზმის და სამხრის წინ) 1 თვის განმავლობაში ორგანიზმს იცავს მრავალი დაავადებისაგან (ასთმა, შაკიკი, კანის დაავადებები და ა.შ.). თუ მას მივიღებთ დღეში 75 გრამამდე, მაშინ დაბლა სწევს სისხლში ქოლესტერინის დონეს და წარმოადგენს ერთ-ერთ მცირერიცხოვან ეფექტურ საშუალებას ათეროსკლეროზის წინააღმდეგ.

**ქ. საბახტარიშვილი. სამკურნალო წიგნი. ტ. 4. თბილისი. 1997.**

# მიტაცებული უძველესი ქალდეური „სიბრძნის წიგნი" და... უდიდესი ხიფათი საქართველოსთვის!

მე-6 გვერდიდან

ქართველთა გენოციდში, რუსეთის მეშვეობით, პირადად შევარდნაძის, როგორც მთავარი ორგანიზატორის, წამყვანი როლის დამტკიცება.

დამანგრეველი საკანონმდებლო აქტებით, შეგნებულად ანტისახელმწიფოებრივი, უპრინციპო, არათანმიმდევრული საგარეო პოლიტიკით, განუკითხაობით, უზნეობისა და ურთიერთშუღლის დამკვიდრებით სახეზეა საქართველოს პოლიტიკური, ინტელექტუალური, ეკონომიკური, სამხედრო, სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული, საერთაშორისო მხარდაჭერის პოტენციალის დაცემა, ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდანვე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმის „ორგანიზებული დეზორგანიზაციის" გზით. გრძელდება ე.წ. კონფიდენციალური ანტისახელმწიფოებრივი შეთანხმება-გარიგებანი „უმაღლეს დონეებზე" ჯავახეთის, აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, ქვემო ქართლის „პრობლემებზე". (შევარდნაძემ გააუქმა 25 კმ-იანი სასაზღვრო ზონის ნორმა და დააკანონა აღნიშნული მიწების გასხვისება; დაბეჯითებით ცდილობს ე.წ. ორმაგი მოქალაქეობის კონსტიტუციურად დაკანონებას; უცხოელებზე გაყიდა თითქმის ყველა სტრატეგიული დანიშნულების სახელმწიფო ობიექტი; ანტისახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტებით ძირეულად მოშალა სამხედრო სამსახურის ინსტიტუტი ქვეყანაში და ა.შ. და ა.შ.

პერმანენტულად გრძელდება ცალკეული „პოლიტიკური წრეების" ან რეგიონების თითქოსდა ურთიერთშუღლისა და დაპირისპირების პროვოცირება-ინსცენირება, დესტაბილიზაციის ხელოვნური „აგორება", თითქოსდა ურთიერთგაუტანელი, მცონარა ერის, არაერთსულოვანი ქვეყნის „საერთო უსუსურობის" იმიჯის ილუსტრაციის მიზნით, ახალი მოღალატურ-გამცემლური გარიგებების, დათმობების, ტერიტორიალური დანაკარგების ორგანიზება. ეს პრეზიდენტის ნაცადი ხერხია არა მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დაკნინების გასაძლიერებლად, არამედ დაბეჩავებული ქვეყნის ხელისუფლებაში საკუთარი კარიერის მაქსიმალური გახანგრძლივებისთვისაც. ასეთმა ინსპირირებულმა დესტაბილიზაციამ დღეს, სამწუხაროდ, ძალიან სწრაფად შეიძლება „ბუნებრივად" მიაღწიოს პიკს.

შემთხვევით არ აუგორებია(თ) „ქართველების რელიგიური ექსტრემიზმის" (მსოფლიოში ტირაჟირებული) ყურით მოთრეული ბრალდება — მზაკვრულად პროვოცირებული ცალკეული აგრესიული სექტების ხელოვნური „გაჯეჯილებით" ქვეყანაში. თუმცა არც ამ სექტებს „ხელაღებით" დაპირისპირებული ძალების შესაძლო პროვოკატორობაა გამოსარიცხი(!).

მას ერთი პერიოდი განზრახული ჰქონდა აფხაზეთსა და სამეგრელოში სახიფათო „ალიანსის" აგორება-წაქეზებაც (გაიხსენეთ მხედრიონელთა დაგეშვა სამეგრელოში და დღესაც ამ კუთხეში ხელოვნურად ინსპირირებული გაუსაძლისი სოციალური და კრიმინალური პრობლემები). არა მგონია, ამ უბოროტეს მკრეხელობაზე მას დღესაც ხელი ჰქონდეს აღებული: იგი კვლავაც ცდილობს, გამწარებულ და დამშეულ აქაურ მოსახლეობას ხელოვნურად „შეუქმნას საარსებო შანსი" — ე.წ. კორიდორი რუსეთზე გასასვლელად ჯერ ვითომ არალეგალურად (აფსუების დახმარებით და რუსების „წაყრუებით"), ხოლო შემდგომ — პერმანენტული გაუსაძლისი ყოფითი ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით და ამ გასვლა-კონტაქტების უხეში „შეზღუდვით", ადგილებიდანვე ამ სიტუაციის ლეგალიზაციის ლოზუნგი „შემოაცუროს", (თანაც ეს „მოძრაობა" გალელების და მთელი სამეგრელოს ღალატადაც კი გამოგვიცხადოს ხმამაღლა), რათა ერთადერთ „ხსნად" სამეგრელოს რუსეთისაკენ გზის გაკაფვა — ანუ ამიერკავკასიისკენ რუსეთისათვის თავისუფალი გზის მიცემა — შესთავაზოს. ...და ისევ სამეგრელოს „შეაწმენდს" ხელს... (ამის ერთ-ერთი უმზაკვრესი წინაპირობაა აღდგენილი სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლა და პრეზიდენტის ახალი კაპიტულანტური ერთპიროვნული შეთანხმებანი).

ცნობილია პრეზიდენტის ადრინდელი ე. წ. „კონფიდენციალური საუბრები" ა. ჭაჭიასთან. გაავლეთ პარალელი, თუ რა მოჰყვა უფრო ადრე ასეთ „კონფიდენციალურ საუბრებს" ლუდვიგ ჩიბიროვთან: მისგან დამოძლვრილი ლ. ჩიბიროვი მაშინვე ვლადიკავკაზს გაეშურა და ერთ კვირაში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე" აალაპარაკა ქვეყანა. ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე დიალოგშიაც ხომ ჩვენი პრეზიდენტის მიერაა სრულუფლებიან სუბიექტად ჩასმული ჩრდ. ოსეთი და მისი პრეზიდენტი (მაშინ როდესაც აფხაზეთის ქართველების მსგავსად, შიდა ქართლის ქართველობაც გამოთიშულია ამ „მოლაპარაკებებიდან"(?!)

ზემოხსენებულთან დაკავშირებით იმ იმედზეღა ვრჩებით, რომ, როგორც ჩანს, „დიდმა პოლიტიკოსმა" ამჯერად ვერ შეძლო ვერც ა. ჭაჭიას ძველი კოლხური გენეტიკის და ვერც სამეგრელოს გაბრიყვება. ამინ შენს მადლსა, უფალო!

გული აერევა კაცს, თუ გავიხსენებთ პრეზიდენტის თავწახრილ ინტერვიუებს რუსეთის ტელევიზიის შიდა არხებზე, როდესაც რუსი იმპერიული ძალების და გენერალიტეტის მისამართით გაოცებით კითხულობდა: „ამაზე მეტი დათმობები, რაზედაც მე გთანხმდებით, სხვა ვისგან შეგიძლიათ მიიღოთო". ეს ჩვენი საეთერო სივრცისათვის მისაწვდომადაც რამდენჯერმე გაცხადდა. (იმ დროს რუსეთი გროზნოში მყოფი ზვიად გამსახურდიას ტრაგედიას ჯერ კიდევ ენერგიულად ათამაშებდა!). ასეთი ზნედაცემული, მოღალატურ-გამცემლური, „პარაჟენცულ"-ცვედანური ვიდეო და აუდიო მასალები გასანადგურებლად მისთვის მიუწვდომელ არქივებში, უამრავია.

გავიხსენოთ ისიც, როგორ შემოგვაჩეჩეს და ვინ არის ეს ვითომ „გერმანელი", ჯერ კიდევ შიდა ქართლში უკვე სახელგატეხილი „ეუთოელი" დ. ბოდენი, რომლის „წინააღმდეგიც" (პრეზიდენტის და ჩვენი სხვა ოფიციოზის ვირეშმაკული წინმსწრები „პროპაგანდისტული განმარტებით") თითქოსდა თავიდან რუსეთი იყო, მისი როგორც „პრეზიდენტის მეგობარი გერმანიიდან" წარმომავლობის გამო? ეს ხომ ყველას ახსოვს! აი, გაუთავებლად რა პრიმიტიულ და ბინძურ თამაშს გვახვევენ თავს!!!

დიახ, დ. ბოდენმა უკვე სავსებით ნორმალიზებად სიტუაციაში მდგომარეობა თავდაყირა დააყენა და „მაშველი რგოლის" ფუნქციით მოევლინა ჯეროს სეპარატისტებს, ხოლო შემდგომ აფსუებს. იგი მათ იდეოლოგიურ და პრაქტიკულ დიპლომატიურ „დამკვალიანებლად", დასაყრდენად იქცა აფხაზეთში. ვინ უნდა აგოს ამაზე პასუხი და როდის? მას ხომ უმაღლეს სახელმწიფო დონეზე (ზღვარდაუდებელი დითირამბებით, ლაქიური ლიქნით) მოუწყვეს გაცილება საქართველოდან! და დღესაც ისევ არ გვეშვება ჩვენი პრეზიდენტის ეს უცხოელი „თანამოაზრე", პრეზიდენტისგანვე ჩვენზე ასე ლაღად „გაჯეჯილებული"...

აღვნიშნოთ სხვათაშორის, რომ სწორედ ხალხის ამ საყოველთაო დაკნინება-დაკაბალების ფონზე ერთი ცნობილი ერისკაცის მიერ გაკეთებული გულიდან ამოხეთქილი და სავსებით ლოგიკური განცხადება (ეს იყო ამ 7-8 წლის წინ) — „ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რესურსებით მოსახლეობა დღესაც კი მინიმუმ 1000-ჯერ უკეთესად უნდა ცხოვრობდესო", უკვე დაბეჩავებულ ჩვენს საზოგადოებაში უპასუხოდ დარჩა, ხოლო თავად იგი „ვითარცა ექსორიაქმნილი" გარიყეს. ეს რესურსები კი ქვეყანას ჯერჯერობით დღესაც გააჩნია! ...და ნორმალური „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნების" ვითარებაში გაცილებით მეტია მიღწევადი სულ 1-2 წელიწადში!

მთელი ეს მზაკვრობა სწორედ პრეზიდენტის აპარატიდან იმართება. იქ ძალზე მარტივად „იშიფრება" ბევრი პერსონა. ეს თითქოს სხვა თემაა, მაგრამ ღრმად ჩასახედია (ფარდა ასახდელია!) არა მხოლოდ ამ აპარატში, არამედ ცალკეულ საერთაშორისო (მათ შორის — „გაეროს") წარმომადგენლობათა და ქვეყანაში ცალკეულ ხშირ ვიზიტიორთა პერსონებსა და მათი აპარატის შემადგენლობაშიც, რომლებშიც ხშირად როტაციის ელემენტარული პრინციპებიც უგულვებელყოფილია (სხვადასხვა ადგილობრივსავსე „უბნებზე" მათი დროებით გადაჯგუფებებით და ფუნქციების ფიქტიური მონაცვლეობით). ნუ ჩამომართმევთ მკრეხელობად და ნურც ხელაღებით გაიოცებთ, თუ განვაცხადებ, რომ ზოგიერთ ჩვენთან მოვლინებულ ამ „კეთილმოსურნე" თუ „მეცენატურ" მისიონერთა რიგებში „უცხო ხილი" სულაც არ არის ერთობ დახვეწილი და ძალზე მაშტაბური „პოლიტიკური კორუფციის ვირუსი".

ყველამ ვიცით, რომ შევარდნაძე ბოლომდე არასოდეს ენდობოდა ქართველებს. დღეს მან იცის, რომ თვითონვე ვერ მოასწრებს ჩვენს სრულ მოსპობას, ამიტომ თახსირი თამაშით ასეთივე თახსირი თავისი გველაძუა „ბლარტები" (რომელთაგან ზოგიერთს ჯერ თავისად არც აჩენს აქტიურად), გადაუწყვეტია „შემოგვაჩეჩოს" თითქოსდა მის „საწინააღმდეგო ალტერნატივად". ამისათვის ბაზაც შემზადებულია: ქვეყნის სრული კოლაფსის მდგომარეობაში ჩაყენებით და ათასგზის მოტყუებული და გაბითურებული, დაბეჩავებული მოსახლეობის მიმართ წინასწარ სკრუპულოზურად გათვლილი რეჟისურით „ახალი ცრუ ყოჩების" (თანაც — მასიურად უცხო ბოროტი თესლებისა) არაკაცობით უფსკრულში უკვე საბოლოოდ გადასაჩეხად.

ამრიგად, „ჩვენმა ძვირფასმა" ოპოზიცია-პოზიციამ წინასაარჩევნო ჯიბრი („ბრძოლა") ფაქტობრივად არა ერთმანეთთან, არამედ სწორედ უკვე გაბრიყვებულ ხალხთან წინასწარ მიზანმიღწეულ, გამარჯვებაგარანტირებულ ბრძოლად („შოუდ") აქციეს (უფრო სწორად — უნდათ აქციონ!).

ამიტომაც აწყობს მას ვაკუუმი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფრონტზე და ქვეყნიდან დღეს უკვე კატასტროფად ქცეული ეროვნული ინტელექტუალური ძალის გადინება — ყველაფერს აკეთებს ამისათვის და უკვე საჯაროდაც კი აქეზებს და ახალისებს ამას! ფაქტია, მისი 30 წლიანი ბატონობის ხანაში ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებასა და განსაკუთრებით ისტორიკოსებს არამც თუ ობიექტური ნორმალური კვლევის, ჩვენი ისტორიის უცხო თესლის მოძალადე გამყალბებლებისაგან თავის დაცვის, ხმის ამოღების უფლებაც წაართვეს(!?).

რომ აღარ გავაგრძელო ხსენებული „ალტერნატიული ბაზის" უსასრულო სია (ზოგთა მიმართ თავად კაცურად და ძალზე მტკივნეულად იმედგაცრუებულმა): ჟვანია (თავისი „ცრუპეტელა" პაწაწა ციკანით)-მამრაძე-კავსაძე-თევდორაძე-უკლება-გოგორიშვილ-მერაბიშვილ-რჩეულიშვილ-ბურჯანაძეებს-სალარიძე-ბალუაშვილ-გოგიაშვილ-ბეჟუაშვილებსა და ბევრ — ძალიან ბევრ — „უფრო დიდ" სხვებზე, ვიტყვი მხოლოდ, რომ საუბედუროდ „დიდი პოლიტიკოსის" კადრების გადახურებულ მოღალატურ სამჭედლოში არც ტემპი ეცემა და არც მიმართულება იცვლება... რა ხდება?! ან უმეცარი მონა და ნაძირალა უნდა იყო ან „უცხო თესლი"!? ასე იყო ე. შევარდნაძის ყველა ადრინდელ აპარატშიც!

„ნახევარი ნაბიჯი წინ — 10 ნაბიჯი უკან!" აი, ე. შევარდნაძის ანტიქართული პოლიტიკის მზაკვრულად დახვეწილი მეთოდოლოგია და ტექნოლოგია, საიდანაც მოდის მისი ეს გაუთავებელი „კომპრომისების პოლიტიკა" და, თანაც, ყოველთვის მხოლოდ ქართველების წინააღმდეგ.

გარდა პოტენციური ოპონენტის მოხსნისა, შესაძლებელია სხვა მიზანიც: არის შეუმოწმებელი ინფორმაცია, რომ ახლო აღმოსავლეთში მარცხის შემთხვევაში სიონისტური მოძრაობა დამკვიდრების ალტერნატიულ წერტილად საქართველოს ტერიტორიას მიიჩნევს. დამაფიქრებელია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღეს, (ადრე ეს არ ყოფილა), უკანონო არქეოლოგიური გათხრების წარმოება „მოხალისე" უცხოელებსაც შეუძლიათ(?!) (იხ. მასალები საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში, შ.ს. სამინისტროში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სახ. კანცელარიაში).

შემთხვევითია,(?) განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, საქართველოში და უკვე თავად მცხეთაშიც, (მცხეთის რაღაც „იერუსალიმიზაციის" პერსპექტივებზეც ალაპარაკდა ამას წინათ თავად(!) პრეზიდენტი!?), „მათი" ფეხის ასე ღრმად ჩადგმა?!: — ბერეზოვსკი, მისი რუსი ებრაელი გენერლებით და ბიზნესით თითქმის მთელ აფხაზეთში და არა მხოლოდ აფხაზეთში, მისივე პატარკაციშვილი — თავისი ლორთქიფანიძე-ჯაოშვილებით და სხვები უკვე მეტასტაზებად მოდებულნი მთელ საქართველოს, ან კიდევ იგივე „მასტის" ჩუბაისი და თავად შევარდნაძე თავისი... მათი და კიდევ სხვათა ჩამოთვლა ძალიან გაგრძელდება!.. ღმერთმა დაიფაროს, და, თუ მართლა იძალეს არაბებმა, სათადარიგო ედემივით საცხოვრისი (მთელი საქართველო) სიონისტებს, უკვე „კანონიერად" შესყიდულიც, უბრძოლველად შეიძლება „დაახვედრონ" ჩვენთან(!!!).

ამერიკის დღევანდელი მსოფლიო ინტერესი, რა თქმა უნდა, ცნობილია სიონისტურ-მასონური მსოფლიო წრეებისათვის. უთუოდ, სიონიზმი ამაში ხედავს საშუალებას, ისარგებლოს შემთხვევით და ამერიკისათვის საინტერესო ამ სტრატეგიულ სივრცეში მონოპოლიური უფლებებით გაბატონებასთან ერთად ყველგან ძირშივე მოსპოს „ადგილობრივი მეტოქის", (ოპონენტის); კულტურული ფუძე-არეალიც, რაზედაც „ახალგაზრდა" ცივილიზაციის თანამედროვე ამერიკა ვერც იეჭვებს და თავსაც არასოდეს შეიწუხებს... ეს თანხვედრილი, არაერთგანზომილებიანი ინტერესების შესაძლო ბრმა ალიანსი" კი ერთობ საშიშია...

არადა, დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე აქამდე გაუგონარი არაორდინარული მოვლენების ფონზე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვრებში აღორძინება-დამკვიდრების პერსპექტივა (თუ საერთოდ არ გადაშენდა ადამის მოდგმა პროგნოზირებული სულიერი და ფიზიკური კატაკლიზმებით) რეალურზე უაღრესად რეალურია.

უმძიმესი კითხვები ტანჯავს და თრგუნავს, თანაც საბოლოოდ აბნევს დღეს ქართველობას: დაუჯერებელია ასეთი ბოროტება! როგორ გაწირავსო „დიდი პოლიტიკოსი" თავის სახელს, მომავალსო! ხომ ფიქრობს, ხომ ეშინია ქართველობაში უკვე დამკვიდრებული საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისაო! საოცარია, როგორ ითმენს ამდენ სიბინძურესა და ლაფში გასვრას, უმძიმეს ბრალდებებსო!..

ითმენს, რომ დრო მოიგოს, გააგრძელოს „მისი ბოროტი თამაში" და ბოლომდე მოგსპოს! შენ კი, მისი აზრით, უკვე დღეს ცარიელი დაბრალების გარდა არაფერი შეგიძლია!

დაუკვირდი და დაფიქრდი, ქართველო! რა მწირი და უბადრუკია მისთვის ქართველი ერის თუნდაც ისტორიული მეხსიერების წინაშე (რომელსაც მოსპობას უპირებს) შებღალულ რეპუტაციაზე ფიქრი, როდესაც უკვე შეება ამ მასშტაბური და გლობალური, მისთვის ესოდენ „მესიანური ფუნქციის", სიონიზმისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „ამოცანა-მისიის" გადაწყვეტა-აღსრულებას!

ფრთხილად და ფხიზლად, ქართველებო! — საქართველო უპირველეს ყოვლისა!!!

**გორდა დ.**
**11.05.2003წ.**

**P.S. ცხადია არამც თუ წარმოდგენილი ბრალდებების მთელი სიმძიმე და აშკარა ფაქტობრივი დამაჯერებლობა, არამედ ისიც, რომ ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტი მოვალეა პირადად საჯაროდ წარსდგეს ქვეყნისა და ერის წინაშე, (თუნდაც ტელევიზიით, პირდაპირი, შეუზღუდავი საკონტაქტო ეთერით და ჭეშმარიტი მამულიშვილი ოპონენტებით სტუდიაში), და შეეცადოს ფაქტობრივად უარყოს ბრალდების თუნდაც ერთი პატარა პუნქტი ამ უმძიმესი ბოროტებიდან. სხვა შემთხვევაში..!**

# დოკუმენტი თუ „დოკუმენტი"?!

***წინამდებარე დოკუმენტი თუ „დოკუმენტი" (ორთაგან რომელია იგი სინამდვილეში, არ ვიცით) კარგა ხანია, რაც მიმოქცევაშია პოლიტიკით დაინტერესებულ საზოგადოებაში. ვინ არიან მასში ნახსენები პიროვნებები ადრესატის ჩათვლით (ვაჟა ლორთქიფანიძე, ერთ დროს საქართველოს ელჩი რუსეთში) და რა ანტიქართულ პროექტებზე და პოლიტიკურ სვლებზეა ლაპარაკი, ეს მეტ-ნაკლებად გასაგებია, თვით „დოკუმენტისა" თუ დოკუმენტის წარმომავლობა კი (და, მაშასადამე, მისი ნამდვილობის საკითხიც) ბნელითაა მოსილი. ბერეზოვსკის „კეთილი ინიციატივა" რომ საქართველოსთვის კეთილს არ გულისხმობს, ნათელია. ეს პიროვნება პოლიტიკაში ჩაბმული ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია, რომელიც პუტინთან „კონფლიქტის" სიმულაციის მდგომარეობაში იმყოფება და აფხაზეთში უძრავ ქონებას ყიდულობს დიდი მასშტაბებით. გალსა და კოდორში რა „საკითხებს" ხედავს შევარდნაძე და რა მიმართულებით ცდილობს მათი გადაჭრის წაყვანას, ეს მისი მოქმედებიდან კარგად ვიცით. „საპრეზიდენტო არჩევნები ავტონომიებში", რაც „გარდუვალია ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის", ალბათ, გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზისა და „ოსისთვის" სახელმწიფო წარმონაქმნის სტატუსის შექმნას. რაა „გერმანული ვარიანტი", არ ვიცით. „სამოკავშირეო ხელშეკრულება" რომ რუსეთთან (და, შესაძლოა, მასთან ერთად „ესენგეს" ამა თუ იმ ქვეყნებთანაც) ხელშეკრულებას გულისხმობს, უეჭველია, ხოლო „მეგობრები", რომლებმაც ამ ნაბიჯის აუცილებლობა უნდა გაიგონ და რუსეთისადმი ესოდენ ყურმოჭრილი დაქვემდებარება შეგვინდონ, დასავლეთის დიდი დემოკრატიები არიან. „ლუდვიგი", ალბათ, ჩიგიროვია, „სერგეი" ვინ არის, არ ვიცით. „მასპინძელი მხარე", ალბათ, რუსეთია, სადაც შეთქმულების მორიგი თათბირი უნდა ჩატარდეს. „მხატვრის" ვინაობა არ ვიცით.***

***თქმულიდან გამომდინარე, გაზეთის წინამდებარე ნომერს გავუგზავნით ე. შევარდნაძეს და ვთხოვთ, დაადასტუროს ან ოფიციალურად უარყოს ამ ტექსტის ნამდვილობა.***

> „რაც ავტონომიებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე, სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის?!"

## «საიდუმლო მასალები»


საქართველოს პრეზიდენტი

ბ-ნო ვაჟა!

გადაეცით ჩემი გულწრფელი მოკითხვა და დიდი მადლობა ბ-ნ ბერეზოვსკის მისი კეთილი ინიციატივისათვის: მჯერა, რომ იგი მომავალი საუკუნის პოლიტიკაში ერთ-ერთი დიდი ფიგურა იქნება.

რაც შეეხება ბათუმის, გალისა და კოდორის საკითხები განვიხილოთ უფრო გვიან, მას შემდეგ. რაც ავტონომიებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე, სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის. ასეთია ჩვენი პოზიცია, გამომდინარე „გერმანული" ვარიანტიდან. ამასთან უნდა დარწმუნდნენ ჩვენი მეგობრები, რომ სამოკავშირეო (ხელშეკრულებაზე) ურთიერთობებზე უარს ვერ ვიტყვით, მაგრამ ხალხის შემზადებას დრო სჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩეჩნეთის ფაქტორსაც. დადებითი საერთაშორისო რეზონანსის (ამ ვარიანტით) უზრუნველსაყოფად იცი რომ კარგა ხანია მუშაობენ: დასავლეთთან სიონისტური მიმართულებით ნ. ლეკიშვილი და ვ. რჩეულიშვილი, გრიგორიანული მიმართულებით ზ. ჟვანია, ი. სარიშვილი და ჭყონია. კავკასიელებთან ი. ბათიაშვილი, შ. ნათელაშვილი და მ. არეშიძე. საჭიროა მათი დაკავშირება ბერეზოვსკისთან.

ბ-ნ სერგეისა და ლუდვიგს თემოსთან ერთად გააცანით ჩემი პოზიცია. სასურველია მასპინძელმა მხარემ ნაკლებად იცოდნენ ამ შეთანხმებათა შესახებ, მ. შ. განსაკუთრებით ჩვენმა „მხატვარმა".

# აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

მე-5 გვერდიდან

სისა), ხოლო მათგან თანამედროვე სამხედრო საქმის მოთხოვნებით დაბალანსებული და სათანადო საშტატო შეიარაღებით დაკომპლექტებული ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების ჩამოყალიბებისთვის რეგულარულ ნაწილებსა და სპეციალურ საწყობებში გააჩნიათ იმაზე გაცილებით მეტი ჯავშანსატანკო ტექნიკა და საველე საარტილერიო შეიარაღება, ვიდრე ეს საქართველოსთვის ევთო-ს ეგიდით დადებული ხელშეკრულებით არის ნებადართული. ეს შედარებითი მონაცემები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ფინეთის, შვეიცარიისა და შვედეთის სამხედრო მშენებლობისთვის მიბაძვისკენ მომწოდებელი ამერიკელი სპეციალისტები და ექსპერტები გაგებით უნდა მოკიდებოდნენ ჩვენს მიერ 1999 წლის შუახანებიდან ჩვენს მიერ არაერთხელ დაყენებულ საკითხს (მათ შორის პენტაგონისა და ნატოს წარმომადგენელთა თანდასწრებით გამართულ ღონისძიებებზე, აგრეთვე ქართულ პრესაში) საქართველოსთვის 1992 წელს ტაშკენტში დადგენილი ჩვეულებრივი შეტევითი შეიარაღების კვოტების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ.

სიტყვით ისინი ამას ვერ უარყოფდნენ, საქმით კი დაიწყეს აქტიურად ნიადაგის მზადება და მოქმედება საქართველოში მცირერიცხოვანი პროფესიული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისკენ, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება თავად ამერიკაში 1973 წელს გატარებული რეფორმის პრინციპს — უპირატესად ამ გამოცდილების შესწავლასა და მიყოლას, რომელიც გააჩნიათ არა ნებისმიერ, არამედ შენივე მსგავს გეოგრაფიულ და სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს. ჩვენივე დაბნევისა და დეზორიენტაციის რისკით ისინი აშშ, კანადის, აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პრაქტიკას წარმოგვიდგენენ „ნატოს სტანდარტად" და ამავე დროს ამას ამბობენ ნორვეგიის, საბერძნეთისა და თურქეთის მაგალითზე — რაც დიამეტრულად განსხვავდება აღნიშნული „სტანდარტისგან".

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. 1996 წლის აპრილის დასაწყისში თბილისში ჩატარებულ ნატოს ბლოკის საერთაშორისო კონფერენციაზე „მცირე სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განვითარება", აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩევლის თანაშემწემ დოქტორმა ვოლფგანგ მანიგმა აღნიშნა:

„თუ შევადარებთ ნატოს და ყოფილი ვარშავის პაქტის გამოცდილებას, დავინახავთ, რომ ნატოს წევრი სახელმწიფო თავად ავითარებს საკუთარ კონცეფციას და შემდგომ ეძებს ბალანსს პარტნიორებთან. ვარშავის ბლოკში კი ყველა ქვეყანა საერთო დიქტატს ემორჩილებოდა. საბოლოო ჯამში ქართველებმა თავად უნდა იპოვონ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების განვითარების გზა. დასავლელი ექსპერტები ამას ვერ იზამენ მათ მაგივრად".

ცხრილი 3

| ქვეყანა | საბრძოლო ტანკები | მოჯავშნული საბრძოლო მანქანები | საველე საარტილერიო სისტემები |
|---|---|---|---|
| ფინეთი | 230 | 1063* | 1937 |
| შვედეთი | 537 | 1756 | 923+ |
| შვეიცარია | 556 | 1538* | 1082 |
| საქართველოსთვის დადგენილი კვოტები | 220 | 220 | 285 |

* ფინეთისა და შვეიცარიის მონაცემებში მოჯავშნულ საბრძოლო მანქანებთან ერთად ნაჩვენებია საბრძოლო უზრუნველყოფის მოჯავშნული მანქანებიც; შვედეთის საარტილერიო საისტემებს უნდა მიემატოს 127-მმ ბუქსირებადი ქვემეხებიც M/40, რომელთა რიცხვიც წყაროში მითითებული არ იყო.

როგორც ვხედავთ, ქართველი სპეციალისტების გარკვეულ წრეში არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობის ძირეულ საკითხებში, რომელიც ეთანხმება ამერიკელი ექსპერტების მიერ ჩვენთვის 1996 წელს კონფერენციაზე მიცემულ რჩევებს, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება იმავე ამერიკელთა მიერ უკანასკნელ წლებში გატარებული „დახმარების" პოლიტიკისგან. ასევე ადვილი შესამჩნევია, რომ ამერიკა-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობები სამხედრო სფეროში მკვეთრად ეწინააღმდეგება დოქტორ მანიგის მიერ ჩამოყალიბებულ ნატოში არსებულ პრაქტიკას და გადადის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში დამკვიდრებული „უფროსი ძმის" დიქტატის სფეროში, ხოლო იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ავითარებდნენ თავად ქართველი სპეციალისტები, მის ძირითად დებულებებს „რჩევების" ფორმით გვაძლევენ თავად ამერიკელი და სხვა ნატოელი ექსპერტები, ხოლო მისთვის „ქართული შეფერილობის" მისაცემად იყენებენ სამუშაო ადგილის, ხელფასისა და ნატოს ქვეყნებში „გულაობის" მოსურნე ქართველ ჩინოვნიკებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომლებს. ეს ადამიანები, ამერიკელი და სხვა ნატოელი „მრჩევლების" კვალდაკვალ იმეორებენ ისეთ შეხედულებებს, რომლებიც ძირშივე ეწინააღმდეგება თავად აშშ სამხედრო მშენებლობისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობის გამოცდილებას.

**ირაკლი ხართიშვილი**






მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჟანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.